# ქუჯი

„... და მაშინ განიხარებენ ყოველნი ქართველნი“

№17, ოთხშაბათი, 20-26 ივნისი, 2001 წელი

ფასი 40 თეთრი



გაზეთ „ქუჯის“ რედაქციამ მრავალი მისალოცი წერილი მიიღო; ავტორები დაბადების დღეს ულოცავენ ქალბატონ მანანა არჩვაძე-გამსახურდიას - საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის სპიკერს, საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს...

რედაქციაში შემოვიდა, აგრეთვე, ოფიციალური მილოცვები, კერძოდ, ქ-ნ მანანა არჩვაძე-გამსახურდიას დაბადების დღეს ულოცავს: საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, საქართველოს ჰელსინკის კავშირი, წმინდა ილია მართალის საზოგადოება, საქართველოს ეროვნული ფრონტი - რადიკალური კავშირი, ჰელსინკის კავშირის მთაწმინდის რაიონული ორგანიზაცია, საქართველოს ჰელსინკის კავშირის ცხუმ-აფხაზეთის რეგიონული ორგანიზაცია და სხვა...

გაზეთი „ქუჯი“ მილოცვის ყველა ტექსტს ვერ დაბეჭდავს გასაგები მიზეზების გამო...

ქალბატონო მანანა!

საქართველოს საზოგადოებრიობა გულთბილად გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას და, რაც მთავარია, ასე აქტიურად გააგრძელებინოთ ბრძოლა საქართველოში კანონიერებისა და დემოკრატიის აღდგენისათვის!

თავისთავად ცხადია, „ქუჯის“ რედაქციაც ულოცავს დაბადების დღეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოკვეთილ ლიდერს ქ-ნ მანანა არჩვაძე-გამსახურდიას და უსურვებს მას, მალე განეხორციელებინოს უკომპრომისობისა და დიპლომატიის სინთეზით შექმნილი მისი სასაქართველოო გეგმები...

## 18 ივნისს აღინიშნა ხსენება წმიდა მამათა და დედათა აჭარაში თურქთაგან წამებულთა

„ჰოი, ყოვლად წმიდანო მოწამენო ღვთისანო, თქვენ რომელთა ღვაწლი კეთილი მოიღვაწეთ და სარწმუნოება დაიმკვიდრეთ, და კადნიერება გაქვთ წინაშე ღვთისა, მას ევედრეთ სანატრელნო, შეწყალებად სულთა ჩვენთათვის“



## ნიკა კილასონია:

**უკანონო ხელისუფლებას შეიძლება მოვთხოვოთ, რომ დემოკრატიის ელემენტარული ნორმები დაიცვას და საქართველოს ჭამას თავი დაანებოს, ხოლო საუბარი იმაზე, რომ ჩვენ და ისინი როგორ გავინაწილებთ რაიმეს, არ შეიძლება. მე დარწმუნებული ვარ, შევარდნაძე ძალიანაც კმაყოფილია, რომ მის პარლამენტში „ზვიადისტები“ სხედან...** გვ. 2

**ნემო ბურჭულაძე:** ჩვენი გაერთიანება, რა თქმა უნდა, არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას, მაგრამ უზენაესი საბჭოს დეპუტატები პიროვნულად არ მიიღებენ. ისინი არ კარგავენ მანდატს, ინარჩუნებენ მას, რომელსაც გადასცემენ ეროვნულ ძალებს, რომლებიც ხელისუფლებაში მოვლენ. ამისათვის საარჩევნო კანონი უნდა იყოს დემოკრატიული.

**ზაურ ქობალია:** ორი გზა არსებობს: დაუმორჩილებლობა და არჩევნების გზით ხელისუფლებაში მოსვლა. სხვა გზა არაა. მე მქონდა საუბარი კოლხურ კოშკში მყოფ უზენაესი საბჭოს დეპუტატებთან და დავაფიქსირე ჩემი პოზიცია. უზენაეს საბჭოს არ მისცემენ იმის საშუალებას, რომ განახორციელოს ის, რაც მას სურს, თორემ ამას არაფერი სჯობია. ამიტომ ვამბობთ ჩვენ, რომ გარდამავალი პერიოდია აუცილებელი. ეს ხელისუფლება მოსცილდება საქართველოს, შემდეგ უნდა მოვიდეს ეროვნული ხელისუფლება, რომლისთვისაც სამართალმემკვიდრეობის გადაცემა იქნება შესაძლებელი. მაშინ ერთად დავსხდებით ჩვენ და ისინი და გაიმართება მოლაპარაკება.

**ზვიად ძიძიგური:** ჩვენ გვაქვს კონსულტაციები ქ-ნ მანანასთან, მაგრამ არა პირველი პირების დონეზე. ჩვენს შორის არის კონცეპტუალური განსხვავება რიგ საკითხებზე, კერძოდ, ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუცილებელია არჩევნებში მონაწილეობის მიღება და ამ გზით ხელისუფლების სათავეში მოსვლა. მათ მიაჩნიათ, რომ აუცილებელია კანონიერი ხელისუფლების აღდგენა, რაც მის რესტავრაციას გულისხმობს. ჩვენი სხვადასხვა პოზიციიდან გამომდინარე არის ცალ-ცალკე დგომის ფაქტორი.

გვ. 3-4

## ნოდარ ბართაია, ტარიელ ფუტკარაძე:

სამეგრელოსთვის - საქართველოს ამ ბურჯი კუთხისთვის - წინაპრების მიერ შექმნილი მრავალსაუკუნოვანი სალიტერატურო ენის ნაცვლად ახალი „დედაენის“ შეთავაზება მიზნად ისახავს ამ კუთხის მოწყვეტას ქართველური კულტურულ-სახელმწიფოებრივი ველისგან და წარმოადგენს რუსული იმპერიული ზრახვების აღსრულებას - საქართველოს დაქუცმაცებას

გვ. 2



**ჰამლეტ გონაშვილი განსაკუთრებული ფენომენია მუსიკალურ შემოქმედებაში. მისმა ხმამ და ატყვევა ყველა, ვინც კი მოისმინა. მან განუმეორებლად აჟღერა მრავალი სიმღერა და პირნათლად გაიარა გზის მონაკვეთი, რომელიც განგებამ უბოძა. იყო მართალი, პირველ რიგში, თავისი თავის, შემდეგ კი სამშობლოსა და ოჯახის წინაშე**

გვ. 6

**ვინ მოიტაცა არაბი ბიზნესმენი? ვინ გაძარცვა გერმანელი ცოლ-ქმარი? ვინ ძარცვავს ხალხს?**

გვ. 7

**ქუთაისში ჯართად აბარებენ ჭურვებს ანუ იმის შესახებ, თუ რატომ დაიღუპა სამი კაცი**

გვ. 7

აქტუალური თემა

# ვის აძლევს ხელს ქართველთა ახალი «დედაენების» შექმნა?

ამ ბოლო პერიოდში საქართველოში მომრავლდნენ ფსევდომეცნიერები, რომლებიც რეგიონში ან სულაც თბილისში მოღვაწეობენ და თავისი მშობლიური კუთხის განდიდების მანიით შეპყრობილნი, ვფიქრობთ, მათდაუნებურად ანგრევენ ქართველურ ცნობიერებას, რამდენადაც მათ „ნალვანზე" რუსეთისგან მართული „პოლიტიკოსები" პოლიტიკურ გეგმებს აგებენ...

მაგალითად, ვინმე ბათუმელი „მეცნიერი" ამტკიცებს, რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე აჭარა მოიცავდა ტერიტორიას ლიხის მთიდან შავ ზღვამდე;

ვინმე ზუგდიდელი ამტკიცებს, რომ მსოფლიოს ყველა ენა მეგრულისაგან მოდის: მეგრული ადამის ენაა!

ვინმე მესტიელი ამტკიცებს, რომ სვანები არიან მსოფლიო დამწერლობის შემქმნელები და მთელი ამიერკავკასია ადრე სვანებს ეჭირათ...

ვინმე ქუთაისელი ამტკიცებს, რომ ქუთაისია საქართველოს ნამდვილი დედაქალაქი...

ვინმე თელაველი ამტკიცებს, რომ საქართველოს სულიერი ცენტრი თელავია და ა.შ. და ა.შ.

ამჯერად მეგრულის თემას შევეხებით: 2001 წლის 11 ივნისის „ახალ თაობაში" დაიბეჭდა თამარ აბსავას წერილი „სამეგრელო ავტონომიას ითხოვს". ირონიით ნაწერ პუბლიკაციაში მიმოხილულია 8 ივნისს ზუგდიდში ჩატარებული სამეგრელოს საკოორდინაციო საბჭოს ყრილობაზე გამოთქმული აზრები. „ახალი თაობის" რედაქციამ წერილის სათაურად გამოიტანა ფრაზა, რომელიც არაადეკვატურად ასახავს სამეგრელოს პოზიციას. ავტონომიას სამეგრელო არ ითხოვს; სამეგრელო ერთიანი, ძირძველი, აიეტის თუ ქუჯის დროინდელი, საქართველოს ბურჯია!

პრორუსული, ანტიქართული და ვითომ „პრომეგრული" ლოზუნგებით გამოსული ვინმე ედემ იზორიას აზრები სამეგრელოს სიტყვად არ უნდა გამოცხადდეს! კერძოდ, სამეგრელოსი კი არა, რუსული იმპერიის იდეების პროპაგანდისტის სიტყვებია: „2600 წლის წინათ კოლხეთში არსებულ ფულს „მორჩელი" ერქვა. ვსვამ კითხვას: ხალხს, რომელსაც ასეთი მიღწევები გააჩნდა 26 საუკუნის წინ, დღეს არა აქვს უფლება მოითხოვოს ავტონომიის სტატუსი?..." იზორია ასევე ითხოვს „მეგრული ენის" სტატუსს, სწავლებას მშობლიურ მეგრულ ენაზე, რუსეთთან თავისუფალი ეკონომიკური ურთიერთობის აღდგენას...

> სამეგრელოსთვის - საქართველოს ამ ბურჯი კუთხისთვის - წინაპრების მიერ შექმნილი მრავალსაუკუნოვანი სალიტერატურო ენის ნაცვლად ახალი „დედაენის" შეთავაზება მიზნად ისახავს ამ კუთხის მოწყვეტას ქართველური კულტურულ-სახელმწიფოებრივი ველისგან და წარმოადგენს რუსული იმპერიული ზრახვების აღსრულებას

რუსეთთან ერთობა, მეგრული ანბანის თუ დედაენის, სახელმძღვანელოს შექმნით მეგრული მეტყველების დაპირისპირება სალიტერატურო ენასთან, საერთოქართველური (კოლხური) ცივილიზაციის გამოცხადება საკუთრივ მეგრულ კულტურად! - აი ის ძირითადი „პრობლემები", რომლებიც დროდადრო წამოტივტივდება ხოლმე რუსეთის სპეცსამსახურებისგან.

ამ ისტორიაში ყველაზე ამაზრზენი ის არის, რომ ამგვარი ვაიპატრიოტები (თუ სხვისი მსახურნი) ზვიად გამსახურდიას სახელსაც აფარებენ თავს...

იზორიას ცოდნის ბაზისის საილუსტრაციოდ თუნდაც „მორჩელი" ავიღოთ: ენათმეცნიერებაში ოდნავ ჩახედული კაცისთვისაც ნათელია, რომ შეუძლებელია დავადგინოთ, რა ერქვა 26 საუკუნის წინ კოლხურ თეთრს!

26 თუ 33 საუკუნის წინ არსებული კოლხური კულტურა დღევანდელ სრულიად საქართველოს მოიცავდა და მისი ენაც საერთოქართველური მონაცემია და არა მხოლოდ რომელიმე კუთხისა. ვინ, როგორ და როდის დაადგინა 26 საუკუნის წინ ტერმინ „მორჩელი"-ს არსებობა, მაშინ როცა ქართველთა მიერ შექმნილი პირველი წერილობითი ძეგლები მხოლოდ 15-17 საუკუნისაა!

ქართველთა სალიტერატურო ენა - ქართულ-ქართველური სალიტერატურო ენა თავიდანვე შექმნილია როგორც ზოგადქართველური ფენომენი! არც ისაა შემთხვევითი, რომ პირველი წერილობითი ნიმუშები ქართული სალიტერატურო ენისა ლაზთა (ანუ მეგრელთა) მონასტერშია შემონახული! ქართველთა საერთო ქმნილებას - სალიტერატურო ენას მეგრულ, სვანურ, თუშურ, აჭარულ, კახურ მეტყველებას მხოლოდ ის ადამიანი დაუპირისპირებს, ვისაც სურს მოცემული კუთხის მოსახლეობას წაართვას დიდი ისტორიული სალიტერატურო ნარსული...

სამეგრელოსთვის - საქართველოს ამ ბურჯი კუთხისთვის - წინაპრების მიერ შექმნილი მრავალსაუკუნოვანი სალიტერატურო ენის ნაცვლად ახალი „დედაენის" შეთავაზება მიზნად ისახავს ამ კუთხის მოწყვეტას ქართველური კულტურულ-სახელმწიფოებრივი ველისგან და წარმოადგენს რუსული იმპერიული ზრახვების აღსრულებას - საქართველოს დაქუცმაცებას!

*ნომადი ბართაია*
*ტარიელ ფუტკარაძე*

---

უზენაესი საბჭო

(დასაწყისი წინა ნომერში)

## ინტერვიუ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატთან ნიკა კილასონიასთან

***- თქვენ ომის დღეებში მთავრობის სახლში ანუ „ბუნკერში" იყავით?***

- მე დაწყებიდან ბოლომდე ვიყავი იქ. ეს არ იყო ბუნკერი, ეს იყო ჩვეულებრივი მთავრობის სახლის სასადილო და იქ ჩამოდიოდა ხმები, თუ როგორ გვბომბავდნენ. შემოჰყავდათ დაჭრილები. ახლაც თვალწინ მიდგას ახალგაზრდა ჭაბუკი, გვარად სვანიძე, რომელსაც სნაიპერმა შუბლი გაუხვრიტა და ადგილზევე დაიღუპა. იყო ფსიქოლოგიური მომენტებიც, ზოგი თავის მოკვლასაც აპირებდა. ია მუხრანელის ვაჟი ვახტანგი იყო არაჩვეულებრივად კარგი პიროვნება, მასთან ორკვირიანი ნაცნობობა, ალბათ, ორ წელიწადს უდრიდა. ის შემდგომ ტრაგიკულად დაიღუპა მთავრობის სახლში. იყო უმძიმესი მდგომარეობა. ვერტმფრენით ჩამოაგდეს ბენზინის „ცისტერნა", უნდოდათ მთავრობის სახლი დაეწვათ. ამას ხალხის დაღუპვა მოჰყვა. ამ მძიმე დღეებს მამაკაცებთან ერთად ქალებიც ინაწილებდნენ.

***- როგორ დატოვეთ შენობა და იყო თუ არა რაიმე პირობა, რომ შენობიდან გასულებს არ ესროდნენ?***

- მახსოვს, შემოვიდა პრეზიდენტი და გვითხრა, რომ უნდა გადავიდეთ დასავლეთში და იქ გავაგრძელოთ დაუმორჩილებლობა. რაც შეეხება რაიმე პირობას, ვერ გეტყვით, რადგან ყოველივეს სამხედროები წყვეტდნენ. როდესაც მეტეხის ხიდზე მშვიდობიანი ავტობუსები ჩაცხრილეს, უამრავი ადამიანი დაიღუპა, ავტობუსის კარის გამოღებისას სისხლი, როგორც მდინარე, ისე წამოვიდა.

***- თქვენ თუ იყავით რეპრესირებული კრიმინალური გადატრიალების შემდგომ?***

- თავიდან ვიმალებოდი, მაგრამ შემდგომში გამოვჩნდი, დავესწარი უზენაესი საბჭოს სესიას, შემდგომ 1992 წლის 24 ივნისის პროვოკაციული ამბების დროს დამაპატიმრეს. მაბრალებდნენ ორგანიზატორობას. წინასწარი დაკავების საკანში (კპზ-ში) ვიჯექი ერთი თვე, ხოლო ერთ კვირას - ჩემი მეუღლე.

***- ეს იგი ტელევიზიის აღება პროვოკაცია იყო?***

- რა თქმა უნდა, თუმცა ბევრი გულდამწვარი მამულიშვილი აღმოჩნდა მოტყუებული. ტელევიზიის შენობის აღება, რომელიც ძირითადად მუშებისგან შესდგება, უაზრობა იყო. ამიტომაც ვთვლი, რომ ეს იყო პროვოკაციული ქმედება.

***- 1993 წლის 2 სექტემბერს ქალაქ ზუგდიდში მოწვეულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია. თქვენ თუ იყავით და რამდენად კანონიერი იყო? ასევე, კვორუმი თუ იყო?***

- რა თქმა უნდა, ჩატარებული სესია კონსტიტუციურად კანონიერი იყო. კვორუმებს რაც შეეხება, გამიჭირდება ზუსტად ციფრის დასახელება, რამდენი დეპუტატი ესწრებოდა, მაგრამ კვორუმის აუცილებელ რაოდენობაზე მეტიც შეიკრიბა. რა თქმა უნდა, მეც ზუგდიდში ვიყავი. მთელი საქართველო იქ იყო თავმოყრილი.

> უკანონო ხელისუფლებას შეიძლება მოვთხოვოთ, რომ დემოკრატიის ელემენტარული ნორმები დაიცვან და საქართველოს ჭამას თავი დაანებონ, ხოლო საუბარი იმაზე, რომ ჩვენ და ისინი როგორ გავინაწილებთ რაიმეს, არ შეიძლება. მე დარწმუნებული ვარ, რომ შევარდნაძე ძალიანაც კმაყოფილია, რომ მის პარლამენტში „ზვიადისტები" სხედან...

***- შემდეგ როგორ განვითარდა მოვლენები?***

- როდესაც ბატონი ზვიადი ჩამოვიდა, მე იმ მომენტში იქ აღარ ვიყავი, რადგან ჩემს ცოლს ბებია გარდაეცვალა და სამძიმარზე წავედი. შემდგომში კი სამეგრელოში შეუძლებელი აღმოჩნდა ჩავსულიყავი, რადგან ყველა გზა გადაკეტილი იყო. თუმცა გეტყვით, შემდეგ მოვლენები ისე განვითარდა, რომ მოხდა მრავალჯერადი ღალატი ორივე მხრიდან. როდესაც პრეზიდენტმა დაინახა, თუ რა დაპირისპირებაზე იყო ლაპარაკი, თავადვე მოხსნა დაპირისპირება. აქ კვლავ მეორდება კავკასიის წრე. პრეზიდენტმა შესანიშნავად დაინახა, თუ რაზე შეეძლო წასვლა შევარდნაძეს. მოხდა ბალტინის ჯარების შემოყვანა. იცით, რომ იბომბებოდა მშვიდობიანი ქალაქები, მაგრამ ცხრაასი მედესანტე ვერავის შეაშინებდა. მით უმეტეს, ჩვენმა გვარდიამ სამასამდე დესანტი ჯერ კიდევ ადრე ჩახოცა სოხუმის მისადგომებთან. მაგრამ თქვენ იცით, რომ რუსებს არ ენანებათ თავიანთი მებრძოლები. „თვლით ხომ არ ჩაუბარებია ლენინს ჩემთვის ჯარი" - უთხრა სტალინმა ბერიას. ასე რომ, საქართველო განადგურდებოდა. სამეგრელოში მოხდებოდა ის, რაც ჩეჩნეთში მოხდა.

***- რატომ ვერ შესძლო პრეზიდენტმა, დაეტოვებინა სამეგრელო?***

- ალბათ იმაზეც იყო საუბარი, შემდგომ სად წავიდოდა და ძალიან გთხოვთ, ნუღარ მკითხავთ იმას, მერე რაც მოხდა, ამის შესახებ ჩემი აზრი მაქვს და მოგახსენებთ: თვითმკვლელობა გამორიცხულია. ამას ზვიადის მორწმუნე ბუნებაც გამორიცხავს. ტყვიით მიყენებული ჭრილობები არ ჰგავს ახლოდან ნასროლს. ხოლო რაც შეეხება უამრავ ვერსიას, რაც ამის გარშემო არსებობს, საეჭვო ასჯერ მეტია, ვიდრე სარწმუნო.

***- ბატონო ნიკა, მინდა ისევ დღევანდელობას დავუბრუნდეთ. კოლხურ კოშკში ტარდება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიები. ეს სესიები მხოლოდ კოშკის კედლებში ჩატარებით შემოიფარგლება თუ რაიმე ყურადღებას აქცევს მსოფლიო?***

- მე შემიძლია გითხრათ, რომ დასავლეთი და, ალბათ, უფრო ამერიკა, საკმაოდ ყურადღებით ადევნებს თვალს საქართველოში მიმდინარე მოვლენებს. შეიძლება ის პირად კონტაქტებზე არ მიდის, რადგან არავის არ სჭირდება საქართველო ქართველებთან ერთად. ისიც ყველასათვის ცნობილია, რომ ეროვნული ხელისუფლება არავის მარიონეტი არ იქნება. ჩემი ინფორმაციით, უკვე ამერიკას ცალსახა ნდობა აღარ აქვს შევარდნაძისადმი. ათი წლის განმავლობაში მას თითი თითზე არ დაუკარებია. მარტივად გეტყვით, მან იმასაც ვერ მიაღწია, რომ რუსეთს ერთი ხელის აწევით ჩვენთვის არ გამოერთო დენი ან გაზი. არადა, ამერიკამ ხუთასი მილიონი დაახარჯა ენერგეტიკის სექტორს. არაფერი გაკეთებულა საქართველოდან რუსეთის ბაზების გასაყვანად. არ დააფიქსირეს, რომ აფხაზეთში გვებრძვის რუსები და აფხაზები, რომლებიც ერთ სტადიონს ვერ ავსებდნენ, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე გადარეულს ან სუკის აგენტს. ეს ყველაფერი იცის დასავლეთმა, ამიტომაც ეძებენ ალტერნატივებს. ამიტომაც ცდილობენ, რომ ამბროსევიჩმა გადააბაროს მართვის სადავეები მათთვის უფრო სანდო პირებს, თუმცა არჩევანში ამერიკელები ხშირად ცდებიან.

***- რამდენად რეალური შანსი აქვს უზენაეს საბჭოს, რომ კვლავ მართვის სადავეები დაიკავოს?***

- დღესდღეობით უზენაესი საბჭო ფუნქციონირებს, მაგრამ გარდამავალი პერიოდი, ალბათ, უნდა გაიაროს. არა მგონია, რომ დიდხანს გაგრძელდეს გარდამავალი ეტაპი, შეიძლება ერთი წელიც.

***- წამოვა თუ არა რაიმე დათმობაზე ფაქტობრივი, უკანონო ხელისუფლება?***

- თუ რაიმე დემოკრატიულობის ნიშანი გააჩნიათ, უნდა წამოვიდნენ. მაგრამ, საერთოდ, მათთან დიალოგი, რაიმე დათმობაზე ლაპარაკი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. სხვა შემთხვევაში მე ჩემს თანამებრძოლებთან ვწყვეტ ურთიერთობას. უკანონო ხელისუფლებას შეიძლება მოვთხოვოთ, რომ დემოკრატიის ელემენტარული ნორმები დაიცვან და საქართველოს ჭამას თავი დაანებონ, ხოლო საუბარი იმაზე, რომ ჩვენ და ისინი როგორ გავინაწილებთ რაიმეს, არ შეიძლება. მე დარწმუნებული ვარ, რომ შევარდნაძე ძალიანაც კმაყოფილია, რომ მის პარლამენტში „ზვიადისტები" სხედან.

***- რას გვეტყოდით მრგვალი მაგიდის მემორანდუმთან დაკავშირებით და, ასევე, თქვენ ესწრებოდით იმ სესიას, რომელზედაც ქალბატონი მანანა აირჩიეს პრემიერ-მინისტრად, მხარი დაუჭირეთ თუ არა?***

- რა თქმა უნდა, მე მხარი დავუჭირე, რადგან ქალბატონი მანანას არჩევა ამ თანამდებობაზე არაფერს არ დააზიანებს. ასევე მხარს ვუჭერ მრგვალი მაგიდის მემორანდუმს.

***- ბატონო ნიკა, ამჟამად რა საქმიანობას ეწევით?***

- ამჟამად, ჩემდა სამწუხაროდ, უფრო სწორად, ოჯახის რჩენის მიზნით ვმუშაობ საქართველოს საბაჟო დეპარტამენტში თარჯიმნად. არავითარი ურთიერთობა არა მაქვს მებაჟეებთან, იყო შემოთავაზებები შტატში ჩასმის და უფრო მაღლაც ავსულიყავი, მაგრამ მე უარს ვაცხადებ დღევანდელი უკანონო ხელისუფლების პირობებში, რადგან ეს ეწინააღმდეგება ჩემს პრინციპებს. თარჯიმანი ვარ ინგლისურ ენაში.

***- რაიმეს დამატება ხომ არ გინდათ?***

- უბრალოდ, ყველაფერი კარგად იქნება.

*ესაუბრა*
*ირაკლი შონია*

26 მაისის ამბები

# ფაქტობრივმა ხელისუფლებამ დაარღვია საკუთარი კონსტიტუცია

2001 წლის 26 მაისს ქ. თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საერთო-სახალხო შეკრების დარბევით დაირღვა კანონიერი ხელისუფლების კონსტიტუციის ძირითადი პრინციპები: 1) 48-ე მუხლში წერია: „საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს გარანტირებული აქვთ... კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობებისა და დემონსტრაციების თავისუფლება", 2) 37-ე მუხლით გათვალისწინებულია: „...ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებათა შესახებ საერთაშორისო სამართლის ნორმები საქართველოს რესპუბლიკის სამართლის შემადგენელი ნაწილია. მათ აქვთ უპირატესობა საქართველოს რესპუბლიკის კანონებთან შედარებით და უშუალოდ წარმოშობენ უფლებებსა და მოვალეობებს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებთათვის".

ფაქტობრივმა ხელისუფლებამ დაარღვია საკუთარი კონსტიტუცია და სისხლის სამართლის კოდექსი: 1) ე.წ. კონსტიტუციის 25-ე მუხლში წერია: „ყველას უფლება აქვს წინასწარი ნებართვის გარეშე შეიკრიბოს საჯაროდ და უიარაღოდ, როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ..." 2) სსკ 161-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტები: „1. შეკრების ან მანიფესტაციის მოწყობის ანდა მასში მონაწილეობის უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლა ძალადობის მუქარით, ძალადობით ან სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით - ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე; 2. იგივე ქმედება ჩადენილი იარაღის გამოყენებით, ან რაღაც მასობრივი არეულობა, გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი - ისჯება თავისუფლების აღკვეთის ვადით ხუთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე;" 3) 117-ე მუხლი: „1.ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან რვა წლამდე, ორი ან მეტი პირის მიმართ ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან თორმეტ წლამდე". 118-ე მუხლით ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე... 120-ე მუხლში წერია: „ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება, რამაც მისი ხანმოკლე მოშლა ან საერთო შრომისუნარიანობის უმნიშვნელო ან არამყარი დაკარგვა გამოიწვია, ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშათი ვადით ექვს თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე"... სსკ-ს 343-ე მუხლის მიხედვით „საქართველოს სახელმწიფო გერბის ან დროშის შებღალვა ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით ორ წლამდე ან ტუსაღობით ვადით სამიდან ექვს თვემდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.



როდიონოვის სულიერი მემკვიდრენი აცხადებენ, რომ 26 მაისს მომიტინგე მამაკაცებმა ჯვრებით სცემეს პოლიციელები! „ქუჯის" წინა ნომრებში დავბეჭდეთ ფოტოები, საიდანაც აშკარად ჩანდა, რომ ჯვრები მხოლოდ და მხოლოდ ქალებს ეჭირათ; ქალებს ჯვრები წაართვეს პოლიციელებმა (ფორმიანმა თუ უფორმოებმა!) და მომიტინგეთა წინააღმდეგ გამოიყენეს. ურწმუნოთათვის კიდევ ერთ ფოტომასალას ვბეჭდავთ! მომიტინგენი სკანდირებენ: საქართველო! საქართველო!

სამოქალაქო პირების მიერ პოლიციის შენობაში და მის გარეთ ბიმურზა აფრასიძის, დავით გოგაძის, გურამ ჩალიგავას, მაყვალა სანაიას, სოსო მუჯირიშვილის, ზვიად მამაგულაშვილის, გიორგი კვირკველიას, აკაკი მათიაშვილის, უშანგი რიკიაშვილის, ზურაბ გამსახურდიას, აბესალომ ხაჩიძის, მალხაზ ხუციშვილის, გურამ მაქაცარიას, რომან გიგაურის, მალხაზ კალაძის, მანანა აფრასიძის, თამარ ჩიბურდანიძის, მალხაზ კალანდიას, კლარა შამათავას, დოდო მაქაცარია-ბულიავას, ელზა ცერცვაძის, რუსუდან კაპანაძის და სხვათა, ას ადამიანზე მეტის ცემა ისჯება სსკ-ს 126-ე მუხლის მე-2 პუნქტით: „სისტემატური ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური და ფსიქიკური ტანჯვა გამოიწვია ა) ორი ან მეტი პირის მიმართ, ბ)სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ექვს წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ".

ფაქტობრივმა ხელისუფლებამ დაარღვია გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პრინციპები, გაეროს წესების დებულებები, ეუთოს, ევროსაბჭოს დეკლარაციები, კონვენციები, აქტები. კერძოდ, ეუთოს ვენის 1986 წლის თათბირის პრინციპებში წერია: „23.1... არავინ არ იქნეს თვითნებურად დაპატიმრებული, სატუსაღოში დაკავებული; 23.2. სატუსაღოში მყოფ ან დაპატიმრებულ პირებს ეპყრობოდნენ ჰუმანურად და ადამიანის პიროვნებისათვის ჩვეული ღირსების პატივისცემით; 23.4. აკრძალავენ წამებას და სხვა სახის სასტიკ, არაადამიანურ ან ადამიანის ღირსების დამამცირებელ მოპყრობასა და დასჯას..."

P.S. საქართველოს სახალხო დამცველმა წერილობით მიმართა შსს-ს მინისტრს, 26 მაისის შეკრების კონსტიტუციისა და საერთაშორისო ნორმებით დაცვის შესახებ (68/03-07 2001 წლის 14 მაისი) და ეს მიმართვა გამოქვეყნდა პრესაში (2001 წლის 25 მაისი, „ახალი თაობა").

**ბიმურზა აფრასიძე**
*საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარე*

## ინტერვიუ პოლიტიკურ ოპონენტთან

ამ ბოლო დროს საზოგადოების ერთი ნაწილი დააბნია არცთუ მნიშვნელოვანმა დეტალმა: ნემო ბურჭულაძე, ზვიად ძიძიგური, რობერტ პეტრიაშვილი, ზაურ ქობალია - ესენი ის პიროვნებები არიან, რომლებიც ბოიკოტს უცხადებდნენ რუსეთის მიერ პუტჩით დასმულ, უკანონო გზით, სისხლით მოსულ ხელისუფლებას და მის მიერ დანიშნულ არჩევნებს; საზოგადოებას მოუწოდებდნენ ბოლომდე ებრძოლათ კანონიერების აღდგენისათვის და არ მიეღოთ პუტჩისტთა მიერ დანიშნულ უკანონო არჩევნებში მონაწილეობა. გავიდა რამდენიმე წელი და სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა. კერძოდ, ე.ნ. ეროვნულ ძალთა გაერთიანება, რომელიც ჭრელი პოლიტიკური სპექტრისაგან შედგება და რომელშიც ეს ადამიანები ერთიანდებიან, ქართველ ხალხს უკანონო არჩევნებისაკენ უბიძგებს. ამან საზოგადოების ერთი მცირე ნაწილი გააოცა, ნაწილი კი მათ მიმართ უნდობლად განაწყო.

რა მოხდა, რა ცვლილება განიცადა ზემოხსენებული პირების აზროვნებამ და რა აქვთ საერთო მათ იმ პოლიტიკურ პარტიებთან თუ პიროვნებებთან, რომლებსაც დიდი წვლილი მიუძღვით 1992 წლის გადატრიალებასა და კანონიერი ხელისუფლების გაძევნაში?

რა არის გაერთიანების საბოლოო მიზანი, რამდენად ლოგიკურია მათი გზა? ამ კითხვებზე პასუხები ზემოთ დასახელებულ პირებისაგან მოვისმინოთ.

***

2001 წლის 7 ივნისს, ქუთაისში, მწერალთა სახლში მოწვეულ პირებთან შეხვედრა გამართეს ეროვნულ ძალთა გაერთიანების წარმომადგენლებმა. შეხვედრას ჟურნალისტებიც ესწრებოდნენ.

ჩვენ შევხვდით და გავესაუბრეთ ეროვნულ ძალთა გაერთიანების ზოგიერთ წარმომადგენელს.

**ნემო ბურჭულაძე - ეროვნულ ძალთა გაერთიანების საბჭოს წევრი**



*- ვინ ერთიანდება ეროვნულ ძალთა გაერთიანებაში?*

- თავიდან მასში გაერთიანდა სამი პოლიტიკური ორგანიზაცია: ეროვნულ-კონსერვატული, ჭყონდიდი და დიდგორი. ჩვენთან ღიაა კარი ყველა ინდივიდისათვის.

*- რომელ პარტიებთან გაქვთ მოლაპარაკება?*

- მოლაპარაკებას ვაწარმოებთ მრავალ მსხვილ ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიასთან, როგორც საპარლამენტო, ისე არასაპარლამენტო

*- კერძოდ?*

- გვაქვს მოლაპარაკება ლეიბორისტულ პარტიასთან, მრეწველებთან, ტრადიციონალისტებთან. ფრაქცია XXI საუკუნე ოფიციალურად ჩვენს გაერთიანებაში შემოვიდა, ასევე, სხვა მრავალ პარტიასთან, მაგრამ არა მოქალაქეთა კავშირთან და კომუნისტებთან.

*- რა ურთიერთობა გაქვთ „აღორძინებასთან"?*

- „აღორძინებასთან" აქტიური მოლაპარაკება მიმდინარეობს. მისი ნაწილი ჩვენი წევრიც არის.

*- კოლხურ კოშკში არსებულ კანონიერ ხელისუფლებაზე რას იტყვით?*

- კანონიერი ხელისუფლება იქნება მანამ, სანამ არ აღსდგება სამართალმემკვიდრეობა. საქართველოში დღეს არსებობს ლეგიტიმური ხელისუფლება, მაგრამ მას არ შეუძლია მართოს სახელმწიფო.

*- გასაგებია, მაგრამ როგორ უნდა მოხდეს სამართალმემკვიდრეობის აღდგენა, თქვენი აზრი კონკრეტულად როგორია?*

- როცა ჩვენ ვამბობთ, რომ საქართველოში უნდა აღსდგეს კანონიერი ხელისუფლება, სამართალმემკვიდრეობა, არ ვგულისხმობთ ჩვენს შემადგენლობას. უნდა იყოს ეროვნული ხელისუფლება და მნიშვნელობა არა აქვს, ვიქნებით თუ არა ჩვენ.

*- ზვიად გამსახურდია ბოიკოტს უცხადებდა უკანონო არჩევნებს, თქვენ კი, პირიქით, არჩევნებში მონაწილეობისაკენ მოუწოდებთ ხალხს. თქვენი აზრით, რამდენად გამართლებულია ამგვარი ნაბიჯი?*

- ჩვენი გაერთიანება, რა თქმა უნდა, არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას, მაგრამ უზენაესი საბჭოს დეპუტატები პიროვნულად არ მიიღებენ. ისინი არ კარგავენ მანდატს, ინარჩუნებენ მას, რომელსაც გადასცემენ ეროვნულ ძალებს, რომლებიც ხელისუფლებაში მოვლენ. ამისათვის საარჩევნო კანონი უნდა იყოს დემოკრატიული.

*- რა მნიშვნელობა აქვს, როგორი იქნება საარჩევნო კანონი, თუკი თავად არჩევნებია უკანონო. გამოდის, რომ თქვენთვის არჩევნების კანონიერება-უკანონობას მნიშვნელობა არა აქვს?*

- საარჩევნო კანონს დიდი მნიშვნელობა აქვს. თუ არჩევნები არ ჩატარდა ისე, როგორც საჭიროა, ახალ არჩეულ პარლამენტს არ გადასცემენ უზენაესი საბჭოს დეპუტატები მანდატებს. აქ ყველაფერი იურიდიულ საფუძველზეა გათვლილი. იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული ხელისუფლება იქნება არჩეული, მასთან მოლაპარაკებას კანონიერი ხელისუფლება ადვილად შეძლებს და ლეგიტიმურობის გადაცემის საკითხიც მარტივად მოგვარდება.

**ჩვენი კომენტარი:** ლეგიტიმურობის „მოპოვებას" დე ფაქტო ხელისუფლება 10 წელია ცდილობს; ახლა ასეთი გზა აურჩევიათ!

**ზაურ ქობალია - ეროვნულ ძალთა გაერთიანების საბჭოს წევრი**



*- დე იურე და დე ფაქტო ხელისუფლებათა მიერ უზენაესი საბჭოს სამარ-*

გვ. 4

## ინტერვიუ პოლიტიკურ ოპონენტთან

გვ. 3

*თალმემკვიდრე არჩევნების ჩატარებას როგორ უყურებთ? ხომ შეიძლება რადიკალურმა ოპოზიციამ აიძულოს არსებული რეჟიმი არჩევნები მოეწყოს უზენაესი საბჭოს ეგიდით?*

- დე იურე და დე ფაქტო ხელისუფლებათა დიალოგის საფუძველზე არჩევნების დანიშვნა არ მიმაჩნია დადებითად, ეს არასწორია. ჩვენ მხედველობაში გვაქვს გარდამავალი პერიოდი, თუ ეს არ შეიქმნა, არაეფექტურად მიმაჩნია, უზენაესი საბჭო მოვიდეს და დანიშნოს არჩევნები.

*- თქვენ ურთიერთობა მრავალ პარტიასთან გაქვთ, არის თუ არა შესაძლებლობა, გაერთიანდეთ კოლხურ კოშკში მყოფ უზენაეს საბჭოსთან და მიიღოთ მონაწილეობა სხდომებში?*

- იქ უზენაესი საბჭოს ნაწილია მხოლოდ, რაც არასწორად მიმაჩნია...

*- კოლხურ კოშკში უზენაესი საბჭოს სესია ყველა კანონის დაცვით ტარდება!*

- არა მგონია, კვორუმი იყოს!

*- „მგონიათი“ პოლიტიკა არ კეთდება. კვორუმის საკითხი კონსტიტუციის შესაბამისადაა დაცული. ბ-ნო ზაურ, თუ გაეცანით „მრგვალი მაგიდის“ მიერ შემუშავებულ მემორანდუმს?*

- დიახ, ვიცი კიდევაც, სად შემუშავდა მემორანდუმის პროექტი - ქუთაისია მისი სამშობლო. სხვათა შორის, უნდა გითხრათ, რომ მე უაღრესად დიდ პატივს ვცემ და ვაფასებ მის ავტორს, ტარიელ ფუტკარაძეს, მაგრამ იქ მისვლა ჩემზე არაა დამოკიდებული, ეს მე თავად ვუთხარი ბ-ნ ტარიელს. ის საკითხები, რაც მე იქ დავსვი, თუ მოეგვარდა, მერე ვნახოთ.

*- ნუთუ მრეწველებთან, აღორძინებასთან და სხვებთან უფრო გამონახეთ საერთო ენა?*

- ამასთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, შეიძლება, ეჭვები არსებობდეს. მაგრამ საქართველოში მდგომარეობა მეტად რთულია, ყოველივე მიგვითითებს, რომ ამის იქით გზა არ არის.

*- მოქალაქეთა კავშირის რომელიმე წევრს რომ გაუჩნდეს თქვენთან მოსვლის სურვილი, მიიღებთ?*

- ვინც მოინანიებს თავის წარსულს, მივესალმებით.

*- თქვენ თავიდან არჩევნებში მონაწილეობას უარყოფდით, რა შეიცვალა ახლა?*

- ორი გზა არსებობს: დაუმორჩილებლობა და არჩევნების გზით ხელისუფლებაში მისვლა. სხვა გზა არაა. მე მქონდა საუბარი კოლხურ კოშკში მყოფ უზენაესი საბჭოს დეპუტატებთან და დავაფიქსირე ჩემი პოზიცია. უზენაეს საბჭოს არ მისცემენ იმის საშუალებას, რომ განახორციელონ ის, რაც მათ სურთ, თორემ ამას არაფერი სჯობია. ამიტომ ვამბობთ ჩვენ, რომ გარდამავალი პერიოდია აუცილებელი. ეს ხელისუფლება მოსცილდება საქართველოს, შემდეგ უნდა მოვიდეს ეროვნული ხელისუფლება, რომლისთვისაც სამართალმემკვიდრეობის გადაცემა იქნება შესაძლებელი. მაშინ ერთად დავსხდებით ჩვენ და ისინი და გაიმართება მოლაპარაკება.

*- თქვენს მიერ არჩევნებში მონაწილეობა ხომ უკანონობის გახანგრძლივებაა, ამაზე რას იტყვით? არ ფიქრობთ, რომ მლედელი გაპონის როლში აღმოჩნდებით? განა რა მოუტანეს ეროვნულ მოძრაობას თენგიზ კიკაჩეიშვილმა, ვახტან ბოჭორიშვილმა? მათ ხომ მწარედ გამოსცადეს ეს გზა.*

- ყველა მედალს ორი მხარე აქვს, შეიძლება ასეც ჩანდეს შორიდან, მაგრამ რა გზითაც ჩვენ მივდივართ, ჭეშმარიტებასთან უფრო ახლოს მგონია, ოღონდაც, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ არჩევნების დემოკრატიზაცია მოხდება.

*- ეჭვი არ გეპარებათ ამათ მიერ დანიშნულ არჩევნების დემოკრატიულობაში?*

- დღეს მიმდინარეობს მსჯელობა იმ საარჩევნო კანონის მიღებაზე, რაც ზვიადმა მიაღებინა თავის დროზე კომუნისტებს.

*- კი მაგრამ ახლა ხომ არსებობს უზენაესი საბჭო, მათ ხომ აქვთ ამის საშუალება, რატომ უნდა მიაღებინონ მოქალაქეთა კავშირს ასეთი კანონი?*

- ეს არარეალურია, არ მინდა ჰაერში ჩამოკიდებული ვიყოთ!

*- ნუთუ არ ფიქრობთ, რომ შეიძლება სწორედ თქვენი გზაა „ჰაერში ჩამოკიდება“? 26 მაისს, როდესაც უზენაესი საბჭოს მიერ გამართული სახალხო შეკრება ვანდალურად დაარბიეს, მიმდინარეობდა თქვენი გაერთიანების მიტინგი, თუ გააკეთეთ მომხდართან დაკავშირებით რაიმე განცხადება?*

- მთავრობის მხრიდან ეს იყო ანტიადამიანური ქმედება სულით გაყიდული ადამიანებისა; ჩვენ დავგმეთ ის ვანდალური აქტი.

ზვიად ძიძიგური - ეროვნულ ძალთა გაერთიანის საბჭოს წევრი



*- როგორია თქვენი დამოკიდებულება კოლხურ კოშკში მყოფ კანონიერ ხელისუფლებასთან?*

- ჩვენ გვაქვს კონსულტაციები ქ-ნ მანანასთან, მაგრამ არა პირველი პირების დონეზე. ჩვენს შორის არის კონცეპტუალური განსხვავება რიგ საკითხებზე, კერძოდ, ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუცილებელია არჩევნებში მონაწილეობის მიღება და ამ გზით ხელისუფლების სათავეში მისვლა. მათ მიაჩნიათ, რომ აუცილებელია კანონიერი ხელისუფლების აღდგენა, რაც მის რესტავრაციას გულისხმობს. ჩვენი სხვადასხვა პოზიციიდან გამომდინარე არის ცალ-ცალკე დგომის ფაქტორი.

*- ბ-ნი ზვიადი წინააღმდეგი იყო უკანონო არჩევნებისა...*

- მაშინ, როცა ბ-ნი ზვიადი ბოიკოტს უცხადებდა არჩევნებს, იყო 1992 წლის არჩევნების წინა პერიოდი. კანონიერი ხელისუფლების აღდგენის გზა იყო რეალური. აღმასრულებელ ორგანოებს ჰქონდა შეიარაღება, ტექნიკა და ა.შ. დღეს არ არსებობს ასეთი რამ და ერთადერთ გზად არჩევნებში მონაწილეობის მიღება მიგვაჩნია.

*- დღეს ხომ არსებობს უზენაესი საბჭო, რომელიც მართავს სესიებს?*

- გეთანხმებით, არსებობს. ამით მის არსებობას საფრთხე არ შეექმნება. უზენაესი საბჭო ისევ უნდა დარჩეს და როცა ეროვნული ხელისუფლება მოვა სათავეში, მან უნდა გადაწყვიტოს სამართალმემკვიდრეობის გადაცემის საკითხი.

*- არჩევნებში მონაწილეობით თქვენ უკანონობას ახანგრძლივებთ!*

- სწორედ იმ საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლებმა, რომლის წარმომადგენელი მე ვარ, უნდა შეინარჩუნონ უზენაესი საბჭო. მისი შენარჩუნება კი მოხდება, თუკი მისი წევრები არ იყრიან კენჭს არჩევნებში

*- რა მნიშვნელობა აქვს, თქვენ აბნევთ ხალხს და უკანონო არჩევნებში მონაწილეობისაკენ მოუწოდებთ! ეს ხომ კოლაბორაციონიზმია?*

- დიახ, მოვუწოდებთ, მაგრამ რა გგონიათ, რომ არ მოვუწოდოთ, ეს უკანონობა შეწყდება? მაშინ სხვა მექანიზმი აგვიხსენით და ჩვენც სიამოვნებით მივიღებთ მას.

*- ბ-ნო ზვიად, ეს ყოველივე მრგვალი მაგიდის მიერ შემუშავებულ მემორანდუმშია მოცემული, გაეცანით თუ არა მას?*

- ახლა გადმომცეს და აუცილებლად გავეცნობი, მერე კი ვნახოთ, რა იქნება.

ბექან ჯავახია - ეროვნულ კონსერვატორული პარტიის თავმჯდომარე

*- რით ამართლებთ თქვენს მონაწილეობას არჩევნებში?*

- ჩვენ იმ არჩევნებში მივიღებთ მონაწილეობას, რომლის საარჩევნო პირობებსაც ერთად შევქმნით. უნდა ვიბრძოლოთ საარჩევნო პირობების შექმნისათვის.

*- ე.ი. ქვაკუთხედი თქვენთვის საარჩევნო პირობები ყოფილა და არა საქართველოში კანონიერების, უზენაესი საბჭოს სამართალმემკვიდრეობისა და პუტჩით შელახული ქართველი ხალხის ღირსების აღდგენა!*

- დღეს რომ უზენაესმა საბჭომ არჩევნები დანიშნოს, ჩემთვის საშიშია. მას პასუხისმგებლობა ეკისრება იმ იურიდიულ ნორმაზე, რასაც ქვია აფხაზეთი, სამაჩაბლო. თქვენს საარჩევნო პირობებს პარლამენტში უკვე 92%-მა მოაწერა ხელი.

რობერტ პეტრიაშვილი - ეროვნულ ძალთა გაერთიანების საბჭოს წევრი:



- ადრე უზენაესი საბჭო იყო ხელ-ფეხშეკრული. დეპუტატები მოგიწოდებდით უკანონო არჩევნების ბოიკოტისაკენ. ამან ჩვენ პოლიტიკურ პროცესებს ჩამოგვაჩრჩინა: მოვლენების მიღმა დავრჩით, ამიტომ ახლა რაღაც უნდა შევცვალოთ. საპარლამენტო და გარეოპოზიცია უნდა შეიკრიბოს ძირითადი პრინციპების ირგვლივ და მოქალაქეთა კავშირს მიაღებინოს ნორმალური კანონი. ჩვენ ამ გზით ჩავერთვებით პოლიტიკაში.

**ჩვენი კომენტარი:**

ოცი საუკუნეა ჩვენს რწმენას, მართლმადიდებლობას ავიწროებენ, დევნიან და ა.შ. უნდათ მასში პირდაპირი და ირიბი გავლენით, „თანამედროვე სიტუაციიდან გამომდინარე“, ეშმაკისეული მოდერნიზაციების, ცვლილებების შეტანა, თუმცა, ღვთის მადლით, იგი უცვლელი რჩება. 200 წელია საქართველოში დევნიან კანონიერ ხელისუფლებას!.. ბოლო 10 წელია ძალაუფლება წართმეული აქვს ეროვნულ ხელისუფლებას... ჩვენი მიზანი სამშობლოში კანონიერი ხელისუფლებისა და მისი სამართალმემკვიდრეობის აღდგენაა. ჩვენი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას მოწოდება - „ბოიკოტი ხუნტის ყველა არჩევნებს“ უკვე ათი წელია უცვლელია. თუ ვინმე ისევ „თანამედროვე სიტუაციიდან გამომდინარე“ რაიმე ცვლილებების შეტანას აპირებს მასში, იგი უკვე ზნეობრივ-პოლიტიკური ერესი ხდება.

განა შეიძლება კათოლიკეებთან, პროტესტანტებთან და სხვა მწვალებლებთან რაიმე საერთო გვქონდეს. განა შეიძლება ჩვენი უფაქიზესი მიზნის - საქართველოში ზნეობრივი პოლიტიკისა და კანონიერების აღდგენისათვის ბრძოლაში ირაკლი ბათიაშვილთან, ირაკლი წერეთელთან, ვახტანგ რაზმაძესთან (და მისთანათა) ერთ გუნდში ყოფნა?

**ბოლოთქმა:**

„ეროვნულ ძალთა“ გაერთიანების მრავალი წევრი დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენელია. ამავე მეხუთედმეზე ქუთაისის საკრებულოს ოპოზიციური პარტიათა წევრების გამოსვლებში ხშირად დავაფიქსირეთ, ერთი მხრივ შევარდნაძის ხელისუფლების „ქება-დიდება“, მეორე მხრივ საუბარი იყო შევარდნაძის უვიცობასა და ამ მთავრობის მოღალატურ საქმიანობაზე. ამ მხრივ საყურადღებო იყო აღორძინების წევრის ალეკო ახალაძის გამოსვლა, რომელმაც განაცხადა: ამ ხელისუფლების გამყიდველობაზე მეტყველებს საქართველოში არსებული დღევანდელი სიტუაცია. პრეზიდენტი სრულ უვიცობას ამჟღავნებს და საერთოდ, ეს არაა მთავრობა, ეს არის ქვეყნის გასანადგურებლად მოვლენილი ჭირი.

ჩვენთვის გაუგებარი დარჩა, თავად რომელი ხელისუფლების წარმომადგენელი იყო ბ-ნი ალეკო, ან რას ფიქრობდა მაშინ, როცა არჩევნებში კენჭს იყრიდა? განა „მთავრობის“ „არაეფექტური ქმედებები“ მარტო მისი „უსუსურობითა და უცოდინარობით“ არის გამოწვეული?

თუ მათი მიზანი არსებული სიტუაციის შეცვლა იყო და ამიტომაც მიიღეს არჩევნებში მონაწილეობა, რატომ ვერ მოახერხეს ეს ამ ხნის განმავლობაში. განა შეუძლია უკანონო გზით სათავეში მისულს კანონიერების აღდგენა?!

და ბოლოს, მრეწველთა კავშირის წევრ ზურაბ გვენეტაძის სიტყვები - „ამ მთავრობაში ყოფნით, ასე მგონია, სეთურს ვემსახურები“ - დამოკლეს მახვილივით ადგა მთელს სხდომას.

დე ფაქტო ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ეროვნულ ძალთა გაერთიანების წევრებს იგივე განცდა გაუჩნდებათ?!

ლოლა ხაჭაპურიძე
ალეკო ბაქურაძე

**მთავარი რედაქტორის მინაწერი:**

„ეროვნულ ძალთა გაერთიანება“ თავისი სტრუქტურით ძალიან ჰგავს მოსკოვში გამსახურდიასა და სხვათა მიერ შექმნილ „საკოორდინაციო ცენტრს“. ორივე მათგანი „აერთიანებს“ საქართველოს უზენაესი საბჭოს წარმომადგენლებს და სხვა „ეროვნულ“ ძალებს. ამ მხრივ „ეროვნულ“ ძალებში, პირველ რიგში, ვგულისხმობთ გოგი ხოშტარიას და მის მსგავს ხელმოცარულ და უპოზიციო ინდივიდებს.

„ეროვნულ ძალთა გაერთიანება“ ცდილობს მოზიდულ „ქუდის“ ქვეშ შემოიყვანოს: „მრეწველები“, „აღორძინება“ და სხვა საპარლამენტო ე.წ. ოპოზიციური პარტიები.

ჩვენ არ გამოვრიცხავთ, რომ ამ ახალ გაერთიანებას მომავალ უკანონო პარლამენტში (თუკი კიდევ გაგრძელდება ჯაბა-კიტოვანსიგუას „სამართალმემკვიდრეობა“!?) ბოჭორიშვილის ფრაქციის ადგილი დააჭერინონ! სამაგიეროდ, საქართველოს დამანგრეველი უკანონო მთავრობა კიდევ ერთი ვადით გააგრძელებს არსებობას!

„ეროვნულ ძალთა გაერთიანების“ გვერდით რამდენიმე ეროვნული ცნობიერების ადამიანი მართლაც არის: ჩვენი აზრით, ისინი, მათდაუნებურად, სატყუარის როლს თამაშობენ და ხალხს ახალ პოლიტიკურ აფიორაში ითრევენ!

მათ მოვუწოდებთ, ხელი მოაწერონ „მრგვალი მაგიდის“ მემორანდუმს და მოითხოვონ დე ფაქტო (იმავე „აღორძინების“, „მრეწველების“, „ტრადიციონალისტების“, „ახალი ფრაქციის“...) და დე იურე (საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს) ხელისუფლებების დიალოგის შემდეგ უზენაესი საბჭოს სამართალმემკვიდრე არჩევნების დანიშვნა-ჩატარება.

# სიცრუესა და კორუფციაზე დამყარებული სასკოლო რეფორმა

დღეს მეთოდურად და გეგმაზომიერად ხდება ქართული ცნობიერების და ქართული ინტელექტის რღვევა. დიახ, რაოდენ თავზარდამცემიც არ უნდა იყოს, დღეს საქართველო, როგორც სახელმწიფო ერთეული, აღარ არსებობს. ქართველი კაცი კი, ერთ დროს ამაყი, ზვიადი, ძლიერი, ახლა მშიერ-მწყურვალი, საცოდავად მობუზულა და იაფფასიანი ლაქია გამხდარა.

სისხლიანმა ხუნტამ საქართველოში შექმნა გამარტივებული ადამიანის ახალი ტიპი, რომელსაც დაკარგული აქვს სულიერ ფასეულობათა მდიდარი კულტურული იერარქია. მას არ აწყობს განათლებული, ცოდნით შეიარაღებული ქართველი ხალხი, რომელიც თავისუფლებისათვის იბრძვის, ამიტომ განათლების ისეთი რეფორმა მოგვახვია თავს, რომლის შედეგები სავალალოა. პირდაპირ ვიტყვი: ის, რაც კეთდება განათლების სისტემაში, უნდა შეფასდეს მისი რღვევისათვის გამიზნულ დანაშაულებრივ ქმედებად. ამიტომ ლოგიკურად მიგვაჩნია სკოლის შესახებ პრესაში გამოქვეყნებული ასეთი ტრაგიკული დასკვნა:

„სკოლა გადაგვარების გზით მიჰქრის თუ მიცოცავს და სადაცაა მასთან ერთად უფსკრულის პირას აღმოჩნდება ჩვენი მომავალი თაობაც და ხვალინდელი დღეც“.

ეს სიტყვები, სამწუხაროდ, რეალობაა. სწორედ რეფორმის წყალობით მოხდა 100 ათასობით და 10 ათასობით მოსწავლისა და მასწავლებლის ქუჩაში გაყრა, სავალდებულო სწავლების კლასებიდანაც ათასეულობით მოზარდია განთესილი. მათთვის სკოლა გამხდარა ქუჩა, სადაც ისინი ეუფლებიან ისეთ მანკიერებას, როგორიცაა: მათხოვრობა, ქურდობა, ძალადობა, პროსტიტუცია, ნარკომანია და სხვა. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის მიერ შევარდნაძის უკანონო რეჟიმისადმი წაყენებული ბრალდებების 26-ე მუხლში პირდაპირაა ნათქვამი: „ანტისახელმწიფოებრივი „განათლების რეფორმის“ გატარებამ, რომელმაც გამოიწვია საშუალო და უმაღლესი სისტემის ტოტალური ნგრევა, გაზარდა სკოლებიდან განთესილ მოზარდთა რიცხვი. მარტო თბილისში გასულ წელს 6000 მაწანწალა ბავშვია აღრიცხული. არნახულად გაიზარდა მაღალი კვალიფიკაციის პედაგოგებისა და მეცნიერების ემიგრაცია“.

განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმა ისე დაიწყო, რომ არც კი იყო მიღებული კანონი განათლების შესახებ. ყოველივე ამან სრული ქაოსი და არევ-დარევა გამოიწვია. დაგვიანებით მიღებული სკოლის რეფორმისა და განათლების კანონის რეგიონიზაციაც არ მომხდარა. მასზე არ უმსჯელია საშუალო და უმაღლეს სასწავლებელთა და სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებათა არც ერთ კოლექტივს.

რეფორმის დაწყებისთანავე შემუშავებული და მიღებული უნდა ყოფილიყო საგანმანათლებლო სტანდარტები, ახალი პროგრამები, მეთოდიკა და ახალი სახელმძღვანელოები, გაუმჯობესებულიყო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შექმნილიყო ნორმალური პირობები რეფორმის ცენტრალური ფიგურისათვის - მასწავლებლისათვის. მასწავლებელი ისეთ დუხჭირ მდგომარეობაშია, რომ არამცთუ წიგნის, არამედ გაზეთის შეძენის საშუალებაც არ აქვს. ე.წ. პარლამენტშიც და ტელეგადაცემებშიც არაერთხელ ითქვა პედაგოგებზე, რომლებიც ხელგაწვდილნი მათხოვრობენ. ხელისუფლება ამას აკეთებს წინასწარ დაგეგმილად, განათლების სისტემის მოშლის მიზნით.



მასწავლებელს, როდესაც იგი ფიზიკური არსებობის შენარჩუნებისათვის იბრძვის, თავს ახვევენ ატესტაციას; ზნეობის თვალსაზრისით ეს რამდენად გამართლებულია, ამისი განსჯა ყველას შეუძლია.

ბევრი გაჰყვირის იმაზე, რომ ატესტაციის მიზანია მასწავლებელთა კვალიფიკაციისა და სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხის ამაღლება.

ჯერ კიდევ ოთხი წლის წინ ყოფილმა ე.წ. მინისტრმა ბრძანა, რომ ატესტაციის მიზანია მასწავლებელთა რაოდენობის მკვეთრი შემცირება, რათა არ მოხდეს დაბრკოლება ხელფასის გაცემაში. იგივეს იმეორებს ამჟამინდელი ე.წ. მინისტრიც, რომელსაც თურმე სალმა აზრმა ასე უკარნახა: „რადიკალურად შეამცირეთ მასწავლებელთა რაოდენობა და თქვენი ბიუჯეტი გასწვდება იმ დასაქმებულთა დაფინანსებას, რომლებიც დარჩებიან“ (იხილეთ ახალი განათლება, № 13, 2000 წ.). ყოველივე ამის საფუძველზე კლასში 40-45 ბავშვი ზის. ასეთ პირობებში სწავლა რთულია. მასწავლებელს არ აქვს არც კონტროლის და არც გამოკითხვის საშუალება. აუცილებლად უნდა მოხდეს ისეთი სტანდარტის შექმნა, რომელიც კლასში განსაზღვრავს ნაკლები რაოდენობის მოსწავლეს.

განათლების სამინისტრო საერთოდ გვერდს უვლის იმ ფაქტს, რომ სწორედ რეფორმის პერიოდში კატასტროფულად დაეცა მოსწავლეთა ცოდნის დონე. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ რეგიონის მოსწავლეთა უმრავლესობა უწიგნოდაა დარჩენილი. სასკოლო სახელმძღვანელოები ფუფუნების და ბიზნესის საგნად იქცა. პედაგოგს, რომელიც სრულ განაკვეთზე მუშაობს და რომლის ანაზღაურება შეადგენს 35 ლარს, ორი თვის ხელფასი არ ეყოფა შვილის სახელმძღვანელოების შესაძენად. ბავშვს რაც არ უნდა კარგად ასწავლო, ყველაფერს ვერ ასწავლი, ამიტომ უნდა ასწავლო, როგორ უნდა სწავლა. ამისათვის მას სჭირდება კარგად შედგენილი სახელმძღვანელოები.

მისასალმებელია, რომ ჩვენი მოსწავლეები ქართველ ავტორთა მიერ შექმნილი სახელმძღვანელოებით სწავლობენ, მაგრამ წიგნები იმდენად რთულადაა დაწერილი, რომ ბავშვებს უჭირთ აზრის გამოტანა, შესაბამისად, მასალის ათვისებაც. შედეგად ვღებულობთ მოზეპირე მოსწავლეს, რომელსაც ცოდნა ნიშნისთვის სჭირდება და არა საკუთარი თავის დამკვიდრებისა და რეალიზაციისათვის.

განათლების ახალი კანონით საყოველთაო და სავალდებულო გახდა 6 კლასის განათლება. სახელმწიფომ თავის თავზე აიღო საბაზო (9კლასის) განათლება, თუმცა უკვე არასავალდებულოა, საიდანაც ჩანს ამ კანონის საერთო ტენდენცია. როგორ პასუხობს ამ კანონს ჩვენი რეალობა?

იქმნება ილუზია საზოგადოებაში, რომ თითქოს ცვლილება მოხდა, განათლება 9 კლასის შემდეგ გახდა ფასიანი, დანარჩენი კი ისევ ისე ძველებურად დარჩა.

რეფორმის შედეგად თვითდინებაზეა მიშვებული სკოლის საქმიანობა, უმრავლესი სკოლის ე.წ. არაფასიან კლასებში დაწესებულია არაოფიციალური გადასახადები, რასაც მოკრძალებულად შემოწირულობანი ეწოდა, მაგრამ შემოწირულობა ძალდატანებით არ ხდება. ეს სხვა არაფერია, თუ არა მათხოვრობა და პიროვნების გახრწნა.

ამით გრძელდება სკოლის მეშვეობით მოსახლეობის ძარცვა, რასაც საფუძველი ჩაუყარა ე.წ. ყოფილმა მინისტრმა, სასკოლო სახელმძღვანელოების დასაბეჭდად სკოლებში ფულის შეგროვების შესახებ ბრძანების დაშვებით.

მასწავლებელი, რომელიც ერთ დროს იწოდებოდა ზნეობის ქურუმად, დღეს იძულებულია ყოველთვე აგროვოს შემოწირულობანი. მშობელი კი ე.წ. შემოწირულობით (გინდა ქრთამით) ავალდებულებს სკოლას, რომ მის ბავშვს მოეპყრან გამორჩეულად. ის ბავშვი კი, რომელსაც არ შეუძლია მასწავლებლის მოთხოვნის შესრულება, დაჩაგრულად გრძნობს თავს. ეს წარმოშობს დაპირისპირებასა და ბოლმა-სიძულვილს მოსწავლე-მასწავლებელსა და თვით მოსწავლეებს შორისაც.

ნებისმიერ სისტემაში რეფორმების სავალალო შედეგების ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ მას სათავეში უდგანან არაკომპეტენტური პირები, რომლებიც თანამდებობაზე ინიშნებიან არა პროფესიონალიზმის, არა მაღალი ზნეობის და უანგარო პატრიოტიზმის, არამედ შეფისადმი პირუთვნელი ერთგულების მიხედვით.

ფაქტია, რომ ხელისუფლებას ხელს აძლევს თანამდებობაზე არა მოაზროვნეები, პროფესიონალები და პრინციპული მუშაკები, არამედ ზემოდან მიღებული ნებისმიერი განკარგულების უსიტყვოდ შემსრულებლები. უპირველეს ყოვლისა, ასეთებად მიიჩნევიან ყოფილი პარტიულ-კომკავშირული მუშაკები; დღეს მათი აბსოლუტური უმრავლესობა ხელმძღვანელობის ყველა რგოლში, ქვეყნის მართვის საჭესთან ე.წ. რეფორმის სათავეებთან დგას. ჩვენს „დემოკრატიულ“ რესპუბლიკაში არის ხელისუფლების არნახული უზურპაცია, რაც მოგვდგამს „წითელი ჭირის“ ეპოქიდან, მაგრამ ასეთი მასშტაბის, ასეთი ტოტალური არასოდეს ყოფილა.

ამის ნათელი მაგალითია სკოლის დირექტორების შესაშური ერთგულება არსებული რეჟიმის მიმართ.

მათი აქტიური მუშაობა ხუნტის მიერ ჩატარებულ ე.წ. საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში, რომლის ტოტალური გაყალბებაც მთელმა მსოფლიომ აღიარა, მათი აბსოლუტური უმრავლესობა თავიანთ სკოლებში განთავსებული ე.წ. საარჩევნო უბნების კომისიების თავმჯდომარეები იყვნენ. იოლი წარმოსადგენია, თუ როგორი იქნება ასეთი დირექტორების სკოლებში მიმდინარე სასწავლო პროცესები.

ე.წ. რეფორმის დამსახურებაა: გაყიდული და გაქირავებული სკოლები, გაუცემელი ხელფასები, გაფიცული პედაგოგები, გაყინული და ჩაბნელებული საკლასო ოთახები, სკოლებში გამეფებული ანტისანიტარია, ჩაშლილი საგაკვეთილო პროცესები და ა.შ., რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

განათლების ე.წ. რეფორმის მიზანია, აგრეთვე, მოსწავლეთა რობოტიზაცია. ხდება სასწავლო პროგრამების და გამოცდების ტესტირების მეთოდზე მასიური გადაყვანა. ეს უკუშედეგს იძლევა განსაკუთრებით ჰუმანიტარულ საგნებში, რადგან მოსწავლეს ართმევს თავისუფალი აზროვნების და ლოგიკის უნარს, აჩვევს მხოლოდ კომპიუტერულ, მშრალ აზროვნებას.

ამას წინათ განათლების მინისტრმა ტელევიზიით თავმოწონებით განაცხადა, რომ ელოდება 60 მილიონიან ინვესტიციას, საიდანაც არც ერთი დოლარი არ დაიხარჯება დანგრეული სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაუმჯობესებლად და არც მასწავლებელთა სოციალური დაცვის ღონისძიებებზე. გვარწმუნებენ, რომ ეს კრედიტი ძირითადად მოხმარდება მასწავლებელთა გადამზადებას, თანამედროვე სტანდარტების მიღებას, ახალი სახელმძღვანელოების შედგენას, მოსწავლეთა შეფასების საერთო ეროვნული სისტემის შემუშავებას და ა.შ. (თურმე ეროვნულებიც ყოფილან).

ბატონო ე.წ. მინისტრო, ქართველმა ხალხმა, მწარე გამოცდილებით, ძალიან კარგად უწყის, თუ რას მოხმარდება ეს ინვესტიციაც, მაგრამ გარწმუნებთ, რომ მაგ დოლარებით საქართველოს განათლების სისტემის მთლიანად ბოლოს მოღებას ვერ მოასწრებთ და 60 მილიონი დოლარი დამატებით ვალად არ დაედება ჩვენს შვილებს და შვილიშვილებს. თავადაც კარგად ხედავთ, რომ ხუნტის დღეები დათვლილია, მალე აღდგება კანონიერი ხელისუფლება, რომელიც არის საქართველოს გადარჩენის გარანტი.

**ფაქტია, რომ ფაქტობრივ ხელისუფლებას თანამდებობაზე ხელს აძლევს არა მოაზროვნეები, პროფესიონალები და პრინციპული მუშაკები, არამედ ზემოდან მიღებული ნებისმიერი განკარგულების უსიტყვოდ შემსრულებლები. უპირველეს ყოვლისა, ასეთებად მიიჩნევიან ყოფილი პარტიულ-კომკავშირული მუშაკები; დღეს მათი აბსოლუტური უმრავლესობაა ხელმძღვანელობის ყველა რგოლში, ქვეყნის მართვის საჭესთან, ე.წ. რეფორმების სათავეებთან...**

*ქეთევან ხაბულიანი*
*პედაგოგი*

ჩვენი რწმენა

# წმიდა თეოდორა კონსტანტინეპოლელი საზვერეების შესახებ

ამქვეყნიდან განსვლისას ადამიანის სული გადის საზვერეებს, სადაც იგი პასუხს აგებს ჩადენილი ცოდვების გამო. ეკლესიას ბევრი სწავლება აქვს ამ საკითხთან დაკავშირებით, ერთ-ერთი მათგანია ღირსი თეოდორა კონსტანტინეპოლელის ნაამბობი.

წმ. თეოდორა მე-10 საუკუნის I ნახევარში ცხოვრობდა კონსტანტინეპოლში. დაქვრივების შემდეგ მონაზონი გახდა და ღირსი ბასილი ახლის ხელმძღვანელობით მოღვაწეობდა. მისი გარდაცვალების შემდეგ წმ. ბასილი ახლის მოწაფეს, გრიგოლს ჰქონდა საოცარი ხილვა: იგი აღმოჩნდა მშვენიერ ბაღში, სადაც წმ. თეოდორას შეხვდა, რომელმაც უამბო მისი ამ სოფლიდან გადასვლისას ნანახი უჩვეულო რამ: „სული ისე სწრაფად გაეყარა სხეულს, როგორც ჩიტი წყდება ადგილს. იგი ნათლით მოსილმა ანგელოზებმა აიტაცეს და ზეცისკენ გაფრინდნენ, სხეული კი მიწაზე დარჩა გახდილი სამოსელივით. მაშინ ბოროტი სულები მიუახლოვდნენ მას. დაუწყეს ცოდვათა მოკითხვა.

მფარველმა ანგელოზებმა კი გარდაცვლილის კეთილი საქმეები გაიხსენეს და თან სულიერი მოძღვრის, წმ. ბასილი ახლის ლოცვებით სავსე სკივრიდან ამოიღებდნენ რამდენიმეს განძის სახით და ეშმაკებს აძლევდნენ (resp. ამიტომაც, გვმართებს ახლობლებს, მსგავსად ეკლესიისა, გულითადი ლოცვები შევწიროთ უფალს მიცვალებულთა სულთათვის, რადგან ისინი ძვირფასი განძია ბოროტ სულთაგან თავდასახსნელი).

პირველი საზვერე, რომელიც წმ. თეოდორას სულმა ანგელოზების დახმარებით გაიარა, იყო უქმისმეტყველებისა და უხამსი ლაპარაკისა;

II საზვერე სიცრუისა იყო. აქაც განძით დაიხსნეს გარდაცვლილის სული მფარველმა ანგელოზებმა;

III - განკითხვისა და ცილისწამებისა;

IV - ნაყროვანებისა და მემთვრალეობის;

V - უქმად გატარებული დღეებისა და საათებისა. ანგელოზებმა წმ. ბასილის ლოცვის სკივრიდან შეავსეს თეოდორას ნაკლოვანებები;

VI - ქურდობის;

VII - სიძუნწისა და ვერცხლისმოყვარეობის;



VIII - ანგარების, მექრთამეობისა და მლიქვნელობის;

IX - ტყუილისა;

X - შურის;

XI - ამპარტავნების. ეს საზვერეები მშვიდობით მოიტოვეს უკან;

XII - მრისხანებისა იყო. ჰაერის მცველებმა ისიც კი გაუხსენეს გარდაცვლილს, თუ ოდესმე შვილებისათვის რისხვით შეუხედავს და მკაცრად დაუსჯია. აქაც თეოდორას სული სულიერი მოძღვრის ლოცვამ დაიხსნა;

XIII - ძვირისხსენების;

XIV - ავაზაკობისა, თუკი ოდესმე სილა გააწანი ვინმეს ან იარალი იხმარე;

XV - მითხაობა, ჯადოქრობა მაგიის.

წმ. თეოდორამ კითხვით მიმართა ანგელოზებს: რა უნდა გააკეთოს ადამიანმა ცხოვრებაში, რომ საზვერეებში ასე არ იტანჯოს? მათ უპასუხეს, რომ საშინელ განსაცდელს თავს დავაღწევთ გულწრფელი აღსარებით;

XVI - სიძვის საზვერე;

XVII მრუშობის (შენიშვნა: სიძვა გულისხმობს უქორწინებელთა უკანონო ურთიერთობას, მრუშობა კი დაქორწინებულთა ცოდვით დაცემას,

XVIII - კერპთაყვანისმცემლობისა და ყოველგვარი მწვალებლობისა;

XIX - ულმობლობის, კაცთმოძულეობისა და ღალატის (სარწმუნოების, კაცთა თუ მამულის).

წმინდანი სწრაფად გასცდა ამ საზღვრებს. ანგელოზებმა იგი ზეციურ კარიბჭეში შეიყვანეს. სხვა ანგელოზთა მოზეიმე დასი შეეგუა მას და ღმერთის სუდართან მიაცილა. თვალშეუდგამ სიმაღლეზე უფლის საყდარი ჩანდა, ისეთი თეთრი, გადმოცემა შეუძლებელია, გონება გიბნელდება და მეხსიერება გერთმევა". წმ. თეოდორამ თაყვანი სცა უხილავ ღმერთს, რომელმაც ბრძანა, იგი მისთვის კუთვნილ ადგილზე მოესვენებინათ.

*მამა ლაზარეს (ქანდელაკი)*
*ლოცვა-კურთხევით მასალა მოამზადა*
*ლუიზა ხაჭაპურიძემ*

კულტურა

# საუკუნის მომღერალი - ჰამლეტ გონაშვილი

*„დამღევს შუაღამის ბაღში*
*ურვა - ოროველა ერის,*
*როცა თმაჭაღარა ბავშვი*
*ჰამლეტ გონაშვილი მღერის"*
*ო. ჭელიძე*

ჰამლეტ გონაშვილი განსაკუთრებული ფენომენია მუსიკალურ შემოქმედებაში. მისმა ხმამ დაატყვევა ყველა, ვინც კი მოისმინა. მან განუმეორებლად ააჟღერა მრავალი სიმღერა და პირნათლად გაიარა გზის მონაკვეთი, რომელიც განგებამ უბოძა. იყო მართალი, პირველ რიგში, თავისი თავის, შემდეგ კი სამშობლოსა და ოჯახის წინაშე. ლამაზი სული ამშვენებდა მის მშვენიერ ქართულ გარეგნობას. წარმოსადეგი, მხრებგაშლილი დაბიჯებდა, საოცრად უხდებოდა ქართული ჩოხა, რომელიც კიდევ უფრო ვაჟკაცურს ხდიდა მის იერს. საინტერესოა, რომ ჰამლეტის ბუნება თავისთავად იყო მშვენიერი, ის არასოდეს ქმნიდა ილუზიებს, არ ცდილობდა, ბოროტად გამოეყენებინა თავისი მდგომარეობა. მასში მეფობდა უბრალოება და სწორედ ეს იყო მისი მშვენიერების მიზეზი.

ჰამლეტ გონაშვილის სიმღერა სცილდება ხალხურ, თუნდაც საესტრადო და საოპერო სიმღერების საშემსრულებლო სტანდარტებს. მისი ხმა კონკრეტულად არც ტენორს განეკუთვნება, არც ბანს და ბარიტონს. ის რაღაც სხვაა - ზებუნებრივი.

ჰამლეტ გონაშვილი დაიბადა 1928 წლის 23 ივნისს. მან სიყმაწვილე დედის სოფელში - ანაგაში გაატარა, სკოლაშიც იქ სწავლობდა - დედა იხსენებს, რომ ჰამლეტს აკვნიდანვე ჰქონდა მუსიკალური სმენა. როდესაც უმღეროდა, პატარა აშკარა სიამოვნებას გამოხატავდა. დედის საავნო სიმღერა იყო; „ირემო მთასა მყვირალო". თურმე დედა ზღაპარსაც ირემზე უყვებოდა. ერთხელ პატარა ჰამლეტს უთქვამს: როცა დიდი გავიზრდები, ტყეში წავალ და ირემს სიმღერით დავიჭერო. მოგვიანებით ჰამლეტმა თავის შემოქმედებით საღამოზე (დაბადებიდან 50 წელთან დაკავშირებით) დედა აიყვანა სცენაზე და ერთად შეასრულეს სიმღერა: „ირემო მთასა მყვირალო".

1950 წლის შემდეგ ჰამლეტ გონაშვილი თბილისში დამკვიდრდა. მუშაობდა ტურისტულ ბაზაში, ჩამოსულ სტუმრებს თავისი ქვეყნის ღირსშესანიშნაობებზე უყვებოდა.

ჰამლეტმა კონსერვატორიაში ჩაბარება გადაწყვიტა, მაგრამ ავადმყოფობამ შეუშალა ხელი. ერთხანს თეატრალურ ინსტიტუტშიც სწავლობდა, იქ აკაკი ხორავას მოღვაწეობის პერიოდში. თუმცა მოგვიანებით, მაგრამ ღირსეულად, ის მაინც დაადგა „თავის გზას", 1954 წლის თებერვალში მივიდა საქართველოს სიმღერისა და ცეკვის დამსახურებულ ანსამბლში, რომელსაც ანზორ კავსაძე ხელმძღვანელობდა. კონცერტის მსვლელობის დროს ჰამლეტის გამოჩენა სცენაზე დიდ აჟიოტაჟს იწვევდა. დარბაზში გაისმოდა კითხვები: „ვინ არის?" „საიდან მოვიდა?"... ამ ანსამბლში ჩვიდმეტ წელიწადზე მეტხანს იმუშავა. შემდეგ კი, სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე, ანსამბლ „რუსთავს" ამშვენებდა.

ჰამლეტ გონაშვილის მოღვაწეობის პერიოდში აჟღერდა მრავალი, უკვე ნაცნობი, მაგრამ ჰამლეტისეულად ამღერებული მშვენიერი ქართული, რუსული, სხვა ენებზე შექმნილი სიმღერები, როგორებიცაა: „წინწყარო" (ქართლ-კახური); „ბერი კაცი ვარ" (კახური); „საჭიდაო" (კახური); „კახური ნანა"; „დაიგვიანეს" (კომპოზ. ნ.სულხანიშვილის ოპერიდან „პატარა კახი"-ის ნაწყვეტი); „ჩელა" (მეგრული); „ზამთარი" (ქართლ-კახური); „გუშინ შვიდნი გურჯაანელნი" (კახური); „მრავალჟამიერი" (კახური); „კალოსპირული" (კახური); „იმერული ნანა"; „ზარი" (გურული სამგლოვიარო); „გაფრინდი შავო მერცხალო" (კახური); „შავი შაშვი" (გურული); „შენ ბიჭო ანაგურელო" (კახური); „კვირია" (სვანური); „ურმული" (ქართლ-კახური); „ცანგალა და გოგონა" (ქართლ-კახური საცეკვაო); „მზეო თიბათვისა" (ი.ბობოხიძის); „მერცხალი" (ო.დიხამინჯიას); „სხვა საქართველო სად არის?!" (ეთერ ჭელიძის) ეს სიმღერა ჰამლეტმა ავტორთან ერთად შეასრულა.

ყველა ეს სიმღერა (და კიდევ სხვა მრავალი) ოქროს ფონდშია დაცული.

1967 წელს, ჰამლეტ გონაშვილს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება, 1982 წელს - რესპუბლიკის სახალხო არტისტისა.

ჰამლეტს მრავალი ჯილდო, სიგელი და დიპლომი მიეკუთვნა. მათ შორისაა საფრანგეთში გამართულ ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალზე გამარჯვებულის პრიზი. მაშინ ანსამბლმა „რუსთავმა" სამჯერ განმეორებით შეასრულა კახური „მრავალჟამიერი".

როცა ჰამლეტი მღეროდა, მის სულსა და სხეულს ღვთაებრივი ძალა ეძლეოდა.



ემოცია ცეცხლივით სწვავდა მის არსებას. მე არ მგონია, მხოლოდ ხმამ განსაზღვრა მისი სიმღერების ხარისხი. ვფიქრობ, ეს ხმა არაჩვეულებრივმა სულმა ამღერა ასე საოცრად. თურმე ჰამლეტს ხშირად ეკითხებოდნენ, ასეთი ხმა საიდან ამოგდისო. რამდენადაც კითხვა იყო უცნაური,

> როცა ჰამლეტი მღეროდა, მის სულსა და სხეულს ღვთაებრივი ძალა ეძლეოდა. ემოცია ცეცხლივით სწვავდა მის არსებას. ეს ხმა არაჩვეულებრივმა სულმა ამღერა ასე საოცრად. თურმე ჰამლეტს ხშირად ეკითხებოდნენ, ასეთი ხმა საიდან ამოგდისო. რამდენადაც კითხვა იყო უცნაური, პასუხიც ისეთივე გახლდათ: „ჩემს ხმას ჩემი გონება და გული მართავს და ალბათ, ჩემი გვარიც აქედან მომდინარეობს"-ო.

პასუხიც ისეთივე გახლდათ: „ჩემს ხმას ჩემი გონება და გული მართავს და ალბათ, ჩემი გვარიც აქედან მომდინარეობს"-ო. ერთხელ გერმანიაში ყოფნისას დაინტერესებულან და ყელში ჩაუხედავთ, რაიმე აპარატი ხომ არა აქვს ჩადგმულიო. ჰამლეტს ხმის დიდი დიაპაზონი ჰქონდა. აღსანიშნავია, რომ ის სახლში მთელი ხმით არასოდეს არ მღეროდა, ჩუმად ღიღინებდა და სუნთქვით სავარჯიშოებს აკეთებდა.

უყვარდა ქართული ტრადიციული ჩოხა. დიდ დროს უთმობდა მის მორგებას, დიდი მონდომებით და სიხარულით ეპყრობოდა. აქ ნათლად ჩანს ქართველი ვაჟკაცის გენეტიკური საწყისი. თურმე ცეკვაც ძალიან უყვარებია. ერთხელ სანაძლეოც დაუდევს და სცენაზე ორი წუთის განმავლობაში ცერებზე უცეკვია.

ჰამლეტი ბოლოს ქალაქურ სიმღერებსაც ასრულებდა. დუდუკების ფონზე კვნესოდა მისი სული, თუმცა მისი ცხოვრება მატერიალური თვალსაზრისით მოუწყობელი იყო, ღრმად გააზრებულად ესმოდა ცხოვრების ჭირ-ვარამი. ალბათ ამიტომაც იყო ჰამლეტის სიმღერა ასეთი სევდიანი. სევდა და სულის „ტკივილი" ხომ მხოლოდ კეთილ ადამიანშია დავანებული.

ჰამლეტ გონაშვილს ნამდვილი ქართული ოჯახისშვილობა ხვდა წილად. ის იტყოდა: ადამიანის ცხოვრებაზე, მის მომავალზე ოჯახი დიდ გავლენას ახდენსო და ეს ჭეშმარიტებაა. მას ჰყავდა არაჩვეულებრივი დედ-მამა, ორივე პედაგოგი. მამა - დიმიტრი გონაშვილი ცნობილი იყო როგორც კრებულის ავტორი და „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის ერთ-ერთი აღმდგენელი.

ჰამლეტი 1972 წელს დაქორწინდა ასევე მშვენიერ ოჯახის შვილზე - ლამარა ცინცაბაძეზე. მათ ორი ვაჟი ეყოლათ: გიორგი და დიმიტრი. ორივეს მუსიკალური ათწლედი აქვს დამთავრებული. გიორგი გარკვეული დროის მანძილზე ბიჭუნათა ანსამბლ „მართვეში" მღეროდა. მაგრამ შემდეგ ხატვა ირჩია და ახლა დიზაინერია. საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტი დაამთავრა. საპატიო, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ოჯახში პატარა ჰამლეტ გონაშვილს, რომელიც საუბართან ერთად სიმღერასაც სწავლობს. ვინ იცის, იქნებ...

ჰამლეტს ძალიან უყვარდა მოგზაურობა. ყოველი ქვეყნიდან სამახსოვროდ რაღაც მოჰქონდა. ერთხელ სირიიდან ლელვის ნერგი წამოუღია, თავის ეზოში დაურგავს და გაუხარებია. ის თითქოს ჩქარობდა, უნდოდა რაც შეიძლება მეტი გაეგო წუთისოფლის შესახებ. ღრუბელივით ისრუტავდა ყოველგვარ სიკეთეს ცხოვრებიდან, შეეძლო დიდი სიყვარული. გულისტკივილით განიცდიდა ადამიანისათვის მიულებელ ყოველ საქციელს.

ჰამლეტ გონაშვილი გარდაიცვალა 1985 წლის 25 ივლისს. თურმე ავბედით და შავ დღეს, ჰამლეტი საკუთარ ეზოში - ანაგაში, თხილის ბუჩქს ზედმეტ ტოტებს აცლიდა და... დედა იყო პირველი, ვინც იხილა ჰამლეტი იმ საბედისწერო წუთს.

მანქანაში წინა დღეს კონცერტზე მირთმეული ვარდები ჰქონია, მეუღლისათვის მიჰქონდა თურმე...

ძნელია, ძალიან ძნელი, გაიხსენო ტრაგედია, თუნდაც ყველასთვის ნაცნობი და ათასჯერ მოსმენილი. ძნელია მოყვე ტკივილზე, რომლის გათავისება თავად არ შეგიძლია.

აუტანელი ტკივილით დატოვა ყოფიერება, მაგრამ უფრო აუტანელი ტკივილი დარჩა იმ ადამიანთა ცნობიერებაში, ვინც შეძლო ჰამლეტის შეცნობა, შეყვარება და შესისხლხორცება.

2000 წლის 19 თებერვალს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა ჰამლეტ გონაშვილისადმი მიძღვნილი ხსოვნის საღამო. რეჟისორი გახლდათ ჯემალ ბაღაშვილი, წამყვანი - ანზორ ერქომაიშვილი. ამ საღამოზე მღეროდნენ ანსამბლი „რუსთავი" და „მართვე". საკონცერტო დარბაზის ეკრანზე კი ჰამლეტის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი ჩანაწერები გადაიშალა. ამ საღამოზე საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ ჰამლეტის ხსოვნის პატივისმცემელი ადამიანები და ფეხზე ადგომით კიდევ ერთხელ მქუხარე ტაშით დააჯილდოვეს ჰამლეტის სახელი. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ჰამლეტ გონაშვილმა თავისი მაღალი ხელოვნებით იმ დღეს კვლავ გააერთიანა მთელი საქართველო.

როცა გადავწყვიტე დამეწერა ჰამლეტის შესახებ, გავიფიქრე, შევძლებ კი ამას? მესმის, რომ ამ ადამიანზე შეიძლება ისაუბრო უსასრულოდ და მაინც დაგრჩეს სათქმელი ბევრი რამ.

ჰამლეტ გონაშვილი კეთილშობილი, უსაზღვრო პატრიოტი და განუმეორებელი მომღერალია - ის მშვენიერია.

ჰამლეტ გონაშვილის სული, ბავშვივით უბიწო და სპეტაკი, ყველა ჩვენგანში განაწილდა. ბოლოს სიამოვნებით გავიხსენებ ოთარ ჭელიძის მშვენიერ სიტყვებს:

„დამღევს შუაღამის ბაღში
ურვა - ოროველა ერის,
როცა თმაჭაღარა ბავშვი
ჰამლეტ გონაშვილი მღერის"

*მარინა გაბუნია*
*სტუდენტი*

ჩვენი ყოფა

## ვინ მოიტაცა არაბი ბიზნესმენი? ვინ გაძარცვა გერმანელი ცოლ-ქმარი? ვინ ძარცვავს ხალხს?

ქართველებს გვაქვს ერთი კარგი ფილმი „ძმა". რეჟისორის ჩანაფიქრი კარგადაა ხორცშესხმული: ვაჟკაცი აბრაგი ებრძვის უსამართლობას; საქართველოს დღევანდელი პოლიციის მსგავსი დაჯგუფება ცდილობს აბრაგის დაჭერას. ერთხელაც აბრაგი თავის მოდებილო ძმასთან ერთად ერთ სახლში მალულად შევა, სადაც ქალთან ერთად პოლიციის უფროსი ნებივრობს. საწოლ ოთახში შეხედავ თავის ძმას მოუწევს, რომელიც ქალთან მყოფ კაცს თავის ძმასთან არ „ჩაუშვებს"; ამასობაში ბოროტი პოლიციის უფროსი (ამ როლს კარგად თამაშობს ოთარ მეღვინეთუხუცესი), ზურგიდან მიეპარება ძმებს და აბრაგს კლავს...

ამის შემდეგ პოლიცმაისტერი გონებასუსტ ძმას მფარველობს. ერთხელაც ამ საწყალს ვიღაც გარეწარი სასტიკად სცემს. მოვარდება ოთარ მეღვინეთუხუცესის მიერ გაცოცხლებული „გმირი" და ეკითხება საწყალ ძმას, თუ ვინ ცემა. ეტყობა, სწორედ ამ დროს დაასკვნის ნაცემი, რომ მისი ყველა უბედურების სათავე არის ეს პოლიციის უფროსი და ეტყვის: შენ მცემე, შენ! თან ამოიღებს მის მიერვე ნაჩუქარ პისტოლეტს და კლავს ამ ვაჟკაცური შესახედაობის ბოროტებას.

ამ მოდებილო ძმის როლში დღეს საქართველოს მოსახლეობის ერთი ნაწილია; ის ნაწილი, ვინც ფიქრობს, რომ ქვეყნის ასე დაქცევა ან ერთი მინისტრის, ან ერთი ფრაქციის, ან მოქალაქეთა კავშირის, ან თუნდაც მხოლოდ შევარდნაძის ბრალია. დღეს ჩვენ სახელმწიფო არა გვაქვს და ამაში დანაშაული მიუძღვის 1991-93 წლებში განხორციელებულ პუტჩს, მის დამკანონებლებს შევარდნაძის წინამძღოლობით, პუტჩისმეგუებულ ხალხს და ბოლოს იმ რიგით პოლიციელს, რომელზედაც ქვემოთ მექნება საუბარი.

მსჯელობას გავაგრძელებთ ერთი კონკრეტული ფაქტის ანალიზის საფუძველზე:

10 ივნისს მეგობრის მანქანით ვმოძრაობდით ქალაქში ჩემი მეუღლე და მე. უნივერსიტეტთან რაღაც საქმე ჰქონდა მეგობარს, ხოლო ელბაქიძის დაღმართზე – ჩემს მეუღლეს. მართვის მოწმობა ჯიბეში მქონდა; მეგობარმა მითხრა, მანქანის აქ გაჩერებას ჯობია წაიყვანო ია და 15 წუთში აქვე მომაკითხეო. წავედით, საქმე გავაკეთეთ და ვარაზის ხევისკენ გმირთა მოედნის გავლით დავაპირე წასვლა. შუადღე ახალგადასული იყო; ელბაქიძის დაღმართზე გრილოდა. ხიდთან „გრილოში" რეიდი იყო. გამაჩერეს. ვუთხარი, ვინც ვიყავი; ვაჩვენე პირადობის მოწმობა, მართვის მოწმობა; სიტუაციაც ავუხსენი: მეგობრისაა მანქანა და თუ საჭიროა, 5 წუთში მოგიყვანთ-მეთქი.

„რეიდი იმიტომ გვაქვს, რომ გატაცებული მანქანები, გატაცებული პიროვნებები და ა.შ. აღმოვაჩინოთ; დარღვევები გამოვავლინოთ. კანონი დავიცვათ..." – დამიწყო ახსნა პოლიციელმა თემურ გოგიჩაიშვილმა. „თქვენ მინდობილობა არა გაქვთ, ამიტომ მანქანას გავაჩერებთ საჯარიმოზე, არსადაც არ გაგიშვებთ! ფეხით წადით, მოიყვანეთ პატრონი და იმასაც ჯარიმას გამოვუწერთ, მინდობილობის გარეშე რომ გათხოვათ მანქანა" და ა.შ. და ა.შ.

სამწუხაროდ, ჯიბეში ფული არ მქონდა, რომ „ჯარიმა" გადამეხადა; არადა, ვიცოდი, ასეთ დროს არის რაღაც „სტავკა", მისცემ ავტოინსპექტორს და მორჩა. მე წესებს არ ვარღვევ და არც ასეთ დღეში ვყოფილვარ სხვა დროს. ვუთხარი, დაიტოვე საბუთები, ან ტელეფონის აპარატი და ფულს მოვიტან-მეთქი... ამასობაში ნერვები დამაწყდა თითქმის!

ბოლოს მითხრა, რამდენს გადაიხდიო; 5 ლარს-მეთქი; არაა საკმარისიო, 10 ლარს მოიტანო: რადგანაც პროფესორი ხარ, გენდობი, მოხვალო, არ მომატყუებო...

წავედი მეგობართან; მოვბრუნდით სამივე უკან. რა თქმა უნდა, არავის მოუთხოვია მანქანის პატრონის საბუთები; 10 ლარი მივეცი; თან ვაჩუქე გაზეთ „ქუჯის" ბოლო ნომერიც და ვუთხარი:

თქვენ არა ხართ პოლიციელი, არც მთავრობა გყავთ! ასეთ მათხოვრულ დღეში რომ ხართ, სწორედ თქვენი მთავრობის ბრალია; ნახე ეს გაზეთი და ეგება მიხვდე, ასე ვინ და რამ გაგამათხოვრათ-მეთქი. მან ფული წინა ჯიბეში სწრაფად ჩაიდო, მაგრამ მივხვდი, ჩემი სიტყვები მასზე რეაგირებას აღარ ახდენდა... რა კანონის დაცვა, რის ქვითარი! მან ამ ფულით უხელფასობა აინაზღაურა...

მეგობარმა იხუმრა: *მაწანწალა ძაღლი ბუნებაში არსებობდა, ხოლო მათხოვარი ძაღლი შევარდნაძის უკანონო მთავრობამ ახალ ჯიშად გამოიყვანა...*



რა დააშავა პოლიციელმა თემურ გოგიჩაიშვილმა ისეთი, რომ სამათხოვროდ გაუხდა საქმე?

პოლიციელს ორი ვარსკვლავი უმშვენებდა ბეჭებს; სამტრედიელი კარო, თავიდანვე მითხრა, ე.ი. პრიუტიდან არაა გამოგდებული და სანათესაო, საახლობლო ეყოლება! თუ ქვეყნის ინტერესები არა, გვარის ინტერესები მაინც არ ამოძრავებდა?

ასე გააჩანაგა ამ საცოდავი გოგიჩაიშვილის სულიერი სამყარო მისმა მინისტრმა და მისმა პრეზიდენტმა.

მკითხველი ელოდება პასუხს კითხვაზე:
ვინ მოიტაცა არაბი ბიზნესმენი?
ვინ გაძარცვა გერმანელი ცოლ-ქმარი?
ვინ ძარცავს ხალხს!
ან ეს 10 ლარი ვინ წაართვა სახელმწიფოს?

პირველ რიგში, ეს დანაშაული ჩაიდინა დღეს არსებულმა დე ფაქტო ხელისუფლებამ, შევარდნაძის კლანმა, მან, ვინც დაანგრია საქართველოს სახელმწიფოებრიობა და ჩამოაყალიბა მართვადი ქაოსი.

კონკრეტულად კი, ამ მოტაცებების საბაბით თბილისის თუ სხვა ქალაქების ქუჩებში გამოფენილ რეიდებზე ძალიან დიდი ფული კეთდება პოლიციის მიერ: რეიდები დამატებით საბაბს აძლევს ავტოინსპექციას თუ პოლიციას დარღვევის გარეშეც გააჩერონ მანქანები, მოსდონ შარი მძღოლს და ა.შ.

ვინც ჯერ კიდევ *მოსულელო* ძმის როლშია, მათ გასაგონად ვიტყვი:

ავანტიურით ვინც იგებს, ისაა ამ ავანტიურის შემკვეთი და შემსრულებელი!

პუტჩით დიდი ფული და მაღალი სკამები იშოვეს კომუნისტმა ფუნქციონერებმა და კრიმინალებმა, ხოლო არაბი ბიზნესმენის მოტაცებით მაღალ სამომავლო პოლიტიკურ ქულებს იწერს რუსეთი, ხოლო დიდ მოგებას ნახულობს პოლიცია.

ასეთია ლოგიკური პასუხი!

*P.S. თავისთავად ცხადია, პოლიციაშიც არიან პატიოსანი და ნათელი ადამიანები. ისინი სხვა ქართველებივით შიმშილის ზღვარზე არსებობენ და მსგავს დაყაჩაღებას არ ეჩვევიან!*

**ტარიელ ფუტკარაძე**
ქსუ დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი

## ქუთაისში ჯართად აბარებენ ჭურვებს ანუ იმის შესახებ, თუ რატომ დაიღუპა სამი კაცი

ქუთაისის აღმოსავლეთით 3 კმ-ის დაშორებით იმყოფებოდა რუსეთის სამხედრო ბაზა „კოხის" სახელწოდებით. 1993 წლის შემოდგომაზე ეს ბაზა ბათუმში გადავიდა. რუსმა სამხედროებმა ყველაფერი კარგი თან წაიღეს, ქართულ ჯარს კი დაუტოვეს მხოლოდ უვარგისი ტექნიკა და საბრძოლო იარაღი.

ყოფილი ბაზის ტერიტორიას შეესია რაიმეს შოვნის მიზნით ამ ცხოვრებისაგან გაწამებული მოსახლეობა.

1994 წლის 26 თებერვალს ჭურვების საწყობში შემთხვევით გაჩენილმა ხანძარმა იმსხვერპლა თერჯოლის რ-ის სოფ. გოდოგნის მცხოვრები გიგა გერაძე.

შემდეგ მოვლენები ელვისებურად განვითარდა: ხანძარში გაცხელებულმა ჭურვებმა სათითაოდ, ერთი-მეორის მიყოლებით დაიწყეს აფეთქება. გამაყრუებელი ხმა წვდებოდა ქუთაისსა და მის მოსაზღვრე რაიონულ ცენტრებსაც კი.

ჩვენ, ადგილობრივმა მოსახლეობამ აქეთ-იქით გაქცევა დავიწყეთ. მე ჩემს ავტომანქანაში ჩავსვი ჩემი ოჯახის წევრები, მეზობლები და ქუთაისისაკენ გამოვეშურე ახლად მშენებარე ტრასით. ახალი დაღამებული იყო, მანქანა გავაჩერე და იქიდან ვუსმენდით აფეთქებებს.

ამ დროს ქუთაისიდან ჩვენსკენ მოდიოდა გაზ 24 მარკის ავტომობილი. რომ მოგვიახლოვდა, გაჩერდა. იქიდან გადმოვიდა მაშინდელი ქუთაისის მერი თეიმურაზ შაშიაშვილი. „რა ხდება აქ"? – გვკითხა მან. ჩვენ ვაცნობეთ, რომ ჭურვების საწყობს ხანძარი გაუჩნდა. იგი თავისი მანქანით აფეთქების ადგილისაკენ გაემართა. მთელი ღამე რიგ-რიგობით გაისმოდა აფეთქებული ჭურვების ხმა. დილით როცა ხანძარი ჩაქრა, აფეთქებებიც ჩაცხრა.

მეორე დღეს ქალაქის მერიის წარმომადგენლებმა ჩამოიარეს ჩვენს უბანში და გვკითხეს ზარალის თაობაზე. იმ ღამეს სერიოზული ზარალი ჩვენ უბანში არავის მოსვლია. სამხედროებმა დიდი სიფრთხილით დაათვალიერეს ის ტერიტორია და გამოიყვანეს მიცვალებული. დათვალიერების შედეგად უამრავი აუფეთქებელი ჭურვი აღმოჩნდა.

მე ყველაზე ახლოს ვცხოვრობ აღნიშნულ ბაზასთან და ბუნებრივია, ყველაზე მეტად მაწუხებდა მოვლენების შემდგომი განვითარება. ვიცი, რომ ქალაქის მერის თანდასწრებით დაიწყეს ბჭობა, თუ რა ექნათ დარჩენილი ჭურვებისათვის.

სამხედროებმა თეიმურაზ შაშიაშვილი შეცდომაში შეიყვანეს, ვითომ ამ „დენიკინის დროინდელ" ჭურვებში საათის მექანიზმები იყო დამონტაჟებული და მათი წაღება არსად არ შეიძლებოდა. ქალაქის მერი მათ დათანხმდა, რომ ადგილზე აეფეთქებინათ დარჩენილი ჭურვები.

რამდენიმე დღეში სამხედროებმა დარჩენილი ჭურვებიც ააფეთქეს.

სამხედროებს სულ არ ადარდებდათ ადგილობრივ მცხოვრებთა ბედი. ისინი რამდენიმე ცალ ჭურვს ერთდროულად ელ. დეტონატორებით აფეთქებდნენ. გამაყარუებელი ხმა ცას სწვდებოდა, ნამსხვრევები ეყრებოდა საცხოვრებელ სახლებს და ა.შ.

ჩვენ მათთან არავინ გვიშვებდა ახლოს. ჩვენი ხმა რჩებოდა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

ამ აფეთქებების ციკლის შემდეგ ზარალი მართლაც სერიოზულია, მაგრამ ჩვენთვის თავი არავის შეუწუხებია. განა ის არ კმაროდა, რომ რუსებმა რადიაციით მოწამლული დაგვტოვეს?!

ამ ამბებით ისე ვიყავი გაბრაზებული, რომ მინდოდა ერთი ცალი ჭურვი მერიის წინ ტომრით მიმეტანა და შაშიაშვილისთვის მეთქვა: „აი თუ არ შეიძლება ამათი იქეიდან გადატანა", მაგრამ ვიცოდი, ტერორისტობას დამწამებდნენ და რა თქმა უნდა, ეს არ გამიკეთებია...

ახლა ეს 40 კგ-იანი ჭურვები ხალხს ჯართში მიაქვს. შედეგიც სახეზეა: თურქეთში ერთი მარტენის ღუმელში აფეთქდა, ქუთაისში კი ერთ-ერთ ჯართის მიმღებ პუნქტში აირით დამჭრელს აუფეთქდა და რამდენიმე კაციც იმსხვერპლა.

აი რა მოსდევს ქვეყანაში საქმის არცოდნასა და გულგრილობას. ჩვენ კი, დანგრეულ-დასნებოვნებულნი, ღვთის იმედზე ვართ დარჩენილები.

**დავით ცხადაძერიძე**

8.06. 2001წ.

საქართველოს ჰელსინკის კავშირის ცხუმ-აფხაზეთის რეგიონული ორგანიზაცია გამოთქვამს მტკიცე პროტესტს 2001 წლის 24 მაისს საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ, საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის სპიკერ, ქალბატონ მანანა არჩვაძე-გამსახურდიაზე განხორციელებული ტერაქტისა და 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღდგენის, საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას დაბადების და ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტად არჩევის დღისადმი მიძღვნილი საერთო - სახალხო შეკრების დე ფაქტო ხელისუფლების მიერ ვანდალურად დარბევის გამო.

**საქართველოს ჰელსინკის კავშირის ცხუმ-აფხაზეთის რეგიონული ორგანიზაცია**

საქართველოს ჰელსინკის კავშირის ცხუმ-აფხაზეთის რეგიონული ორგანიზაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე ორგანიზაციის წევრი

**ზურაბ შამუგია**

და სამძიმარს უცხადებს ოჯახს.

საქართველოს ჰელსინკის კავშირის ცხუმ-აფხაზეთის რეგიონული ორგანიზაცია თანაგრძნობას უცხადებს ამავე ორგანიზაციის წევრს მაყვალა ფხაკაძეს დედის

**თამარ ფხაკაძის**

გარდაცვალების გამო.

საქართველოს ჰელსინკის კავშირის ცხუმ-აფხაზეთის რეგიონული ორგანიზაცია თანაგრძნობას უცხადებს ამავე ორგანიზაციის წევრს ვასო დარსალიას მამის

**ვლადიმერ დარსალიას**

გარდაცვალების გამო.

# კარიკატურისტის კომენტარები




ᲐᲙᲐᲙᲘ ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘ:
„შევარდნაძე არ გამოფხიზლდება, ვიდრე მე-11 სართულზე არ მიადგებიან“.

„ასავალ-დასავალი“, №14



ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ:
„კანცელარიის მე-11 სართულს, სადაც პრეზიდენტის რეზიდენცია მდებარეობს, დაჯავშნული მინები დაუყენეს“.

„ალია“, №10

## მრუდე სარკე და სინამდვილე

### მრუდე სარკე

ზვიად ძიძიგური („ახალი თაობა“):

„მრგვალი მაგიდის“, საერთოდ, კოლხური კოშკის ირგვლივ გაერთიანებულ პოლიტიკურ ორგანიზაციებს სურთ კანონიერი ხელისუფლების პერსონალური რესტავრაცია...

### სინამდვილე

„მრგვალი მაგიდის“, საერთოდ, კოლხური კოშკის ირგვლივ გაერთიანებულ პოლიტიკურ ორგანიზაციებს სურთ კანონზე ორიენტირებული საზოგადოების ფორმირება, საქართველოს სახელმწიფოს აღმშენებლობა კანონისა და კონსტიტუციის უზენაესობის საფუძველზე, ეროვნული სახელმწიფოებრივი ცნობიერების გამთლიანება, პუტჩით შელახული ქართველთა ღირსების აღდგენა... გამომდინარე აქედან, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და მრგვალი მაგიდის მიზანია საქართველოში გამთლიანდეს სახელმწიფოს იურიდიული სივრცე უზენაესი საბჭოს სამართალმემკვიდრე არჩევნების დანიშვნისა და ჩატარების საფუძველზე; მრგვალი მაგიდის წევრთა თვითმიზანი არ არის ეროვნული ხელისუფლების მთავრობის წევრთა თანამდებობებზე აღდგენა! ძველი მინისტრების რესტავრაცია გულუბრყვილობაა, ახალი კი უზენაეს საბჭოს არ დაუნიშნავს! რატომ ავრცელებს ჭორებს ბატონი ძიძიგური?

ამგვარი სიცრუე პოლიტიკური ბრძოლის ჩარჩოებს სცილდება!

---

### მრუდე სარკე

ᲠᲝᲑᲔᲠᲢ ᲞᲔᲢᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ („ქუჯი“):

უზენაესი საბჭოს დეპუტატები მოგიწოდებდით უკანონო არჩევნების ბოიკოტისაკენ, ამან ჩვენ პოლიტიკურ პროცესებს ჩამოგვაშორა: მოვლენებს მიღმა დავრჩით, ამიტომ ახლა რაღაც უნდა შევცვალოთ...

### სინამდვილე

ნაწილობრივ მართალია რობერტ პეტრიაშვილი: როგორც თავად ამბობს, ის მართლა ჩამოშორდა ეროვნული ხელისუფლების სასარგებლო პოლიტიკურ პროცესებს; მას შევახსენებთ, რომ პოლიტიკური მოვლენების შუაგულში არიან კანონიერი ხელისუფლების ის წარმომადგენლები, რომლებიც უკანონო ხელისუფლებასთან, ზოგადად უკანონობასთან ბრძოლას აგრძელებენ და მყარად ინარჩუნებენ იმ პოზიციებს, რომელთა ფუნდამენტი ჩაყრილია აიეტის, ქუჯის, ფარნავაზის, აღმაშენებლის... ილიას, პავლე ინგოროყვას, მერაბ კოსტავას და ზვიად გამსახურდიას მიერ...

**„ქუჯის“ მე-14 ნომერში დაიბეჭდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილების პროექტი... ტექნიკური მიზეზების გამო გაზეთში არ იკითხებოდა დადგენილების წინ ნამძღვარებული სიტყვა „პროექტი“.**

## სხვადასხვა სხვადასხვა სხვადასხვა

### ექიმი



**ალერგია მტვერზე (მათ შორის წიგნის მტვერზე)**

1) ასკილის ნაყოფი და ბაბუაწვერას ფესვები დავაქუცმაცოთ ან გავატაროთ ხორცსაკეპში, კარგად ავურიოთ; 1 სუფრის კოვზი ნარევი გავხსნათ 1,25 ჭიქა წყალში. შეიძლება გავაკეთოთ ერთდროულად 2-3 დღის ნორმა, მივიღოთ სუფრის კოვზით 3 ჯერ დღეში.

2) 1 სუფრის კოვზ ჭინჭრის ყვავილს დავასხათ 1 ჭიქა მდუღარე წყალი. შევფუთოთ და დავაყოვნოთ 30 წუთი. შემდეგ გადავწუროთ. მივიღოთ 1/2 ჭიქა 4-5-ჯერ დღეში ან თითო ჭიქა 3-ჯერ დღეში. ღებულობენ ალერგიული გამონაყარების დროს, ჭინჭრის ციებისას, ფრუნკულებისა და ეგზემის დროს, როგორც კარგ სისხლგამწმენდ საშუალებას.

### დიასახლისს



**კომბოსტო ნიგვზით**

1 კგ. კომბოსტო სათითაო ფოთლებად დავარჩიოთ, ჩავდოთ ქვაბში, დავასხათ მდუღარე წყალი, დავახუროთ ქვაბს და მოვხარშოთ. შემდეგ ამოვიღოთ, გავაცივოთ და ხელით გავწუროთ.

1,5 ჩაის ჭიქა ნიგოზი, 2-3 კბილი ნიორი, ყვითელი ყვავილი (ზაფრანა), მარილი კარგად დავნაყოთ, ნიგვზიდან გამოვწუროთ ზეთი და ცალკე შევინახოთ. დანაყილი ნიგოზი გავხსნათ ძმარში, დავამატოთ წვრილად დაჭრილი ქინძი, ოხრახუში, კამა, ომბალო (მწვანილები 2-2 ძირი). ავიღოთ კომბოსტოს ფურცლები სათითაოდ, თითოეულში გავახვიოთ მომზადებული ნიგვზის სატენი (პატარა ტოლმებივით), დავალაგოთ თეფშზე და ზევიდან მოვასხათ ნიგვზის ზეთი.

შეიძლება მომზადდეს მეორენაირადაც:

მოხარშული კომბოსტოს ფოთლები დავჭრათ წვრილად, ავურიოთ ნიგვზის სატენში, გადავიტანოთ ლანგარზე და ზევიდან მოვასხათ ნიგვზის ზეთი.

**სამარხვო ქადა**

0,5 ჩაის ჭიქა წყლითა და 1,5 ჩ/ჭიქა პურის ფქვილით მოვზილოთ ცომი, მერე კარგად გავაბრტყელოთ, წავუსვათ ზედ კარგად აზელილი მარგარინი (სულ ცომისთვის საჭიროა 100 გრ მარგარინი), დავკეცოთ ოთხად და მოვათავსოთ მაცივარში 10 წთ. შემდეგ ისევ გავაბრტყელოთ, დავკეცოთ ოთხად და ისევ შევდგათ მაცივარში 10-15 წთ. ბოლოს დავჭრათ 2-3 ნაწილად, კარგად გავაბრტყელოთ, დავაყაროთ ქადის გული, დავახვიოთ, მივცეთ მილისმაგვარი ფორმა, დავალაგოთ ფქვილმოყრილ თუნუქის ფურცელზე და შევდგათ ღუმელში გამოსაცხობად.

ქადის გულის მომზადება: 3 სუფრის კოვზი პურის ფქვილი დავაყაროთ ტაფაზე და მოვხალოთ, დავამატოთ 50-100 გრ. მარგარინი და კიდევ ვშუშოთ, ბოლოს მოვაყაროთ 1 ჩ/ჭიქა შაქრის ფხვნილი.

### კვიმატი



☺

– სადაური ბრძანდებით ბატონო მიხო?

– ევროპელი ვარ, გურჯაანიდან.

☺

– საით გაგიწევია?

– საქორწინო მოგზაურობაში მივდივარ იტალიაში.

– პატარძალი სადღაა?

– უკვე სამჯერ მოასწრო იტალიის ნახვა და ახლა შინ დარჩენა იმჯობინა.



გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
ბარიელ ფუტკარაძე

რედაქტორთა საბჭო:
ეკა დადიანი (პასუხისმგებელი რედაქტორი), გიორგი აფრიდონიძე (სხვადასხვა ამბები), ონისე ბანძელაძე (ლიტერატურა), მანანა ტაბიძე (დისკუსია), ილია ჭრელაშვილი (მხატვრობა), ლელა ხაჭაპურიძე (საზოგადოება)

რედაქციის მისამართი:
ქუთაისი, კუპრაძის 32
☎ (8 231) 2-16-03
(8 77) 47-69-30
ელ. ფოსტა: kuji@posta.ge

გაზეთი რეგისტრირებულია ქუთაისის საქალაქო სასამართლოში
№12/5/ე-4818